მეხუთე ფელიეტონი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური ბ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პრ. №24, მეორე სართული

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პრ. №24, მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმის-ოვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

ხელნაწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთა 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 ს. ქალაქს გარეშე—1 ს. 20 კ., ხელისმოწერა მიიღება „ბირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებანი: ნომარულის სტროქონი—20 კ., აფიშა ციფრებით—25 კ. სამკლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადებ. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 3—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— სირიაში ფრანგების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო.
— საბერძნეთში ბულგარეთის საზღვარზე ჯარების აგრომავლა.
— საფრანგეთის მთავრობა უარყოფს ინფორმაციას მოლაპარაკების დაწყების შესახებ.
— ინგლისის კონსერვატორებს შორის უთანხმოება სასიერ.
— საფრანგეთის გარეშე საქართველო მინისტრი ბრიანი ლოკარნოში მიეგზავნება.
— ელჩთა კონფერენციამ დაადგინა სრულიად გაანთავისუფლოს რურის ოლქი მოკავშირეთა ჯარებისგან.

ფარასკევი, 7 აგვისტო 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 179 (1334)

ისევ კანონიერებაზე

საბჭოთა კანონიერებაზე ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა და უფრო მეტი ითქვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მხრივ ჩვენს წინაზე მდგარი ამოცანა სავსებით გადაჭრილი იყოს და მისადმი ყურადღება ოდნავ მაინც შეეანელოთ. ბრძოლას რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლად, როგორც ამას ცეკას დღევანდელი ცირკულიარიც აღნიშნავს, უნდა ჰქონდეს არა ერთ-დროული კამპანიის ხასიათი, არამედ იგი უნდა სწარმოებდეს მუდმივად და სისტემატიურად, სანამ მართლა არ იქნება მიღწეული საბოლოო შედეგები.

ჩვენ დღეს გცხოვრობთ მშვიდობიანი აღმშენებლობითი ხანაში. შინაური მტერი გასრესილია. გარეგან უშუალო საფრთხე არ მოგველის. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებულია. მთელი მშრომელი მოსახლეობა მას აქტიურად უჭერს მხარს. ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. გაიზარდა მუშურ-გლეხურ მასების თანხმობა და თვითმოქმედება. ისინი იღებენ უფრო ახლო მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ყველა ამან საფუძველი გამოაცალა „სამხედრო კომუნიზმის“ დროინდელ მართვა-გამგეობის მეთოდებს და შექმნა პირობები საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცებისათვის. მბრძანებლობის ადგილი ხელმძღვანელობამ დაიჭირა.

პარტიის დღევანდელ სასოფლო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კანონიერების დაცვას, ბრძოლას საბჭოთა კანონების დარღვევასა და გეგრდის ახვევასთან, ადმინისტრატიულ თვითმოქმედებასთან.

გვაქვს ჩამოყალიბებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, აგრეთვე მკაფიოდ განსაზღვრულია ადგილობრივი ორგანოები და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი. ყველა ამით სავსებით უზრუნველყოფილია მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები.

მაგრამ საქმე ის არის, რომ პრაქტიკაზე ადგილობრივად ხშირად წაწყდებით საბჭოთა კანონიერების დარღვევის ფაქტებს, რაც სახელს უტეხს ჩვენს კანონებს და საბჭოთა ხელისუფლებას ხალხის თვალში; ძირს უთხრის გლეხობის და მუშების კავშირს.

ადგილმბრივმა ორგანოებმა და ცალკე ამხანაგებმა უნდა შეიგნონ, რომ საბჭოთა კანონების დაცვა—ეს, ერთ-ერთი მთავარი პირობაა მშრომელთა დიქტატურის სიმტკიცის, რომ მათი უფლებელყოფა აშკარა კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეხლა მომქმედი კანონები ჩვენი კანონებია და მათი გვერდის ახვევა ნიშნავს იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც თვითვე ვზიავართ. ჩვენ უკან დაგტოვეთ ის დრო, როცა რევოლიუციონურ მიზანშეწონილებას უპირდაპირებდენ კანონებს და ამით უმთავრესად ის აინტერესებს, თუ რაზე იხარჯება სესხად წაღებული ფული. მისი მიზანია სასოფლო მეურნეობის ამაღლება. მეორე მხრით, ამხანაგობას არ შეუძლია და არც უნდა დაადგეს მხოლოდ და მხოლოდ სესხის ქონებრივ უზრუნველყოფის გზას. სესხი უნდა მიეცეს არა მარტო იმ გლეხებს, რომლებსაც ქონებრივი გარანტია აქვთ, არამედ იმათაც, რომელთაც ეს გარანტია არ მოეპოვებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ლარიბი ვერასოდეს ვერ მიიღებს სესხს თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომ საჭიროდ არის აღიარებული, რომ სესხი მიეცეს მცირე შეძლების გლეხს, თუ წერილობით თავმდებად დაუდგება მას საზოგადოების ორი წევრი. გაცემულ სესხში ამხანაგობა „მცირე სარგებელს იღებს. სესხის მიღება შეიძლება როგორც ფულად, ისე საქონლით.

სესხის განსაზღვრის დროს გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს იმით, თუ რამდენი ნაღდი ფული აქვს ამხანაგობას სალაროში. მიზანშეწონილი არ არის სესხის ნაზილ-ნაზილად ძიცემა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის მიზანი, რომელიც დასახული აქვს სესხის მიღების მსურველს. ამის მიხედვით უნდა იქნას განაწილებული საშუალებანი.

5. საკრედიტო ამხანაგობის მართვა-გამგეობა

ამხანაგობის წევრნი თავის საზოგადო კრებაზე ირჩევენ გამგეობას, საბჭოს და სარევიზიო კომისიას. გამგეობაში უნდა იყოს სამიდან ხუთამდე წევრი. სოფელ ალაგს გამგეობის სამი წევრი, მათ შორის ერთი მუდმივი, სავსებით გაუძღვება თავის მოვალეობას.

გამგეობა უძღვება ამხანაგობის ყველა საქმეს, აძლევს წევრებს სესხს, სწყვეტს საკითხს ახალ წევრის მიღების შესახებ, იღებს ანაბარებს და საპაიო გადასახადის გაერთიანეაის წევრთან, თვალყურს ადევნებს ანგარიშების წესიერ წარმოებას და სხვა.

როგორც გამგეობა, ისე სარევიზიო კომისია და საბჭო ისეთს ორგანოებს წარმოადგენენ, რომელნიც მოვალენი არიან დროგამოშვებით ანგარიში ჩაბარონ საზოგადოების წევრებს. მაშასადამე, საზოგადო კრება ბატონ-პატრონია საგლეხო ბანკისა და ყველა მისი დადგენილება საეალდებულოა არჩეულ გამგეობისთვის, სარევიზიო კომისიისთვის და საბჭოსთვის, რომელთა წევრებიც ყველა საკითხის განხილვის დროს თანასწორი ხმის უფლებით სარგებლობენ.

სარევიზიო კომისიას ევალება თვალყური ადევნოს გამგეობის მოქმედებას მთლიანად და მოხსენებები წარუდგინოს წევრთა საზოგადო კრებას. ამავე დროს სარევიზიო კომისიის წევრნი არ უნდა ერეოდნენ საზოგადოების მიმდინარე საქმეში ყველა თავისი შენიშვნა სარევიზიო კომისიამ უნინარეს ყოვლისა გამგეობას უნდა აცნობოს და შემდეგ მოახსენოს საზოგადო კრებას.

ამბობენ, რომ საბჭოს არსებობა ზედმეტიაო. რა საჭიროა საბჭო, როდესაც სარევიზიო კომისია არსებობს? ასეთი აზრი სრულიად ღსაფუძელოა. საქმე ისაა, რომ საბჭოს ფუნქციები სულ სხვაა. საბჭო საერთო დირექტივებს აძლევს გამგეობას ერთი საზოგადო კრების მოწვევის დღიდან მეორე კრების მოწვევამდე. საბჭო იმ ანგარიშით უნდა იყოს არჩეული, რომ მასში წარმოდგენილი იქნეს ამხანაგობის სამოქმედო რაიონის ყველა კუთხე. ამ პირობებში საბჭო იმ ორგანოდ გადაიქცევა, რომელიც ამხანაგობის წევრებს გამგეობასთან დააკავშირებს.

საბჭოს ევალება ყველა იმ ინსტრუქციის დამტკიცება, რომელიც ამხანაგობის ყველა ოპერაციის ეხება, სესხის გაცემის გეგმის შემუშავება, პროცენტის რაოდენობის განსაზღვრა და სხვა.

ამავე დროს საბჭო ინიშნავს ამხანაგობის ცალკე წევრთა საჩივრებს გამგეობაზე. რაც შეეხება საბჭოზე, ან სარევიზიო კომისიაზე შეტანილ საჩივარს, მისი განხილვა შეუძლია მხოლოდ საზოგადო კრებას.

ყველა ძირითადი საკითხი გადაწყვეტილად უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას, რომელიც ამხანაგობის უზენაეს ორგანოს წარმოადგენს.

არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ამხანაგობის საქმეში ერევა.

ამის გამო მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებაში კოოპერაციისთვის ხელის შეწყობის შესახებ საგანგებო მუხლია შეტანილი. ეს მუხლი ამბობს: „ადგილობრივი ორგანოები არ უნდა ჩაერიონ ადმინისტრატიულად კოოპერატივების მოქმედებაში, როგორც ეხება აღმშენებლობას, რაიონებად დაყოფას, გაერთიანებას, განაკალკვებას, ან კოოპერატიულ კანონით გაუთვალისწინებელ მის ფუნქციების შეზღუდვას“.

ა. ერქომაიშვილი.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი*)

3. ამხანაგობის ნივთიერი ლონისძიებანი.

ამხანაგობის ნივთიერი საშუალებანი იქნება წევრთა მიერ საპაიო ფულის შეტანის გზით. პაის რაოდენობას თვით წევრთა საერთო კრება განსაზღვრავს.

რათა მიზიდულ იქნას რაც შეიძლება მეტი მცირე შეძლების გლეხები, პაის რაოდენობა პატარა უნდა იყოს. ამას გარდა გლეხებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ პაის ნაწილობრივ შემოტანისა. თვითეულ წევრს პაი უნდა ჩაეწეროს საგანგებო წიგნებში.

საპაიო გადასახადის გარდა ამხანაგობას შეუძლია თავისი საშუალებანი გაამლიეროს ფულის მიღებით საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომელიც მუდამ ზრუნავს სასოფლო მეურნეობის ამაღლებისათვის. ამ მიზნით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მოაწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო ბანკები, რომლებმაც განსაზღვრული საშუალებანი უნდა მისცენ სოფლის საგლეხო ბანკებს კრედიტის სახით.

ამხანაგების ძირითადი ამოცანაა—გაერთიანოს დაქსაქსულად მომქმედი გლეხები და მათი ძალღონე სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში.

თვითეულ სოფელში მოიპოვებიან ისეთი გლეხები, რომელთაც ესაჭიროებათ იმგვარი ორგანიზაციის შექმნა, სადაც ისინი მაბარებენ ფულს. ასეთ გლეხთა რიცხვი მრავლდება ამ დროს, როდესაც სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა რეალიზაცია ხდება. საკრედიტო ამხანაგობამ უნდა მიიზიდოს ცალკე გლეხთა თავისუფალი ფული და მისცეს ამ ფულში სარგებელი.

მეორე მხრივ, სოფელში ისეთი გლეხებიც არიან, რომლებსაც ძალიან ესაჭიროებათ ფული სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო საგნების შესაძენად.

საკრედიტო ამხანაგობანი მათ საშუალებებს აძლევენ საწარმოო ხასიათის ვარკვეულ მიზნებისათვის, რომ გლეხებმა შეიძინონ სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო იარაღ-მანქანები და სათესლე მასალა, შეასრულონ სამელიორაციო მუშაობა და სხვა.

საკრედიტო ამხანაგობას არ შეუძლია და არც უნდა გასცეს საშუალებანი გლეხს ისეთ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც კავშირი არა აქვს სასოფლო მეურნეობის საწარმოო მიზნებთან.

საშუალებათა გაცემის, აგრეთვე ანაბარების მიღების წესს განსაზღვრავს ამხანაგობის საზოგადო კრება.

4. როგორ უნდა მოეყოს სესხის გაცემის საქმე.

წევრისათვის სესხის მიცემის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ სესხის მიღების მსურველის პირად ღირსებით, მისი მეურნეობის საერთო მდგომარეობით. კერძო ბანკებში, რომლებიც დაარსებულია კულაკებისა და სპეკულიანტებისათვის, სესხის გაცემის დროს სრულიად არ აინტერესებთ, თუ რა მიზნებისა და საჭიროებისათვის აძლევენ სესხს. იქ აინტერესებთ მხოლოდ ქონებრივი გარანტია, რათა სესხი უზრუნველყოფილი იყოს. საკრედიტო ამხანაგობას კი

*) იხ. „კომუნისტი“ № 176.

გერმანიის მუშათა დელეგაცია თბილისში

დელეგაციის შთაბეჭდილებები

(საუბარი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან—ამხ. სენიუშკინთან)

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის მუშათა დელეგაციაზე საბჭოთა კავშირმა, ამიერ-კავკასიამ და კერძოთ საქართველომ, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. **სენიუშკინმა** განაცხადა შემდეგი:

— გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოდიოდა იქვითინ სავსე, რადგან ბურჟუაზიული გაზეთები და განსაკუთრებით „ფორვერტსი“ საშინელ პროვოკაციას აკეთებდენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ისინი სწერდენ, რომ გერმანიის მუშათა დელეგაციას ისეთივე ხედი ეწევა, როგორც გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს.

მაგრამ „ფორვერტს“ გაუცრუდა იმედები.

ლენინგრადში მოსულისთანავე გერმანელმა მუშებმა დაინახეს ჩვენი სინამდვილე. შემდეგ მოსკოვში ჩამოსვლისა და მოსკოვ-ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერების შემდეგ ისინი სავსებით დარწმუნდენ ევროპაში გავრცელებულ ხმების სიყალბეში.

ვინაიდან სატახტო ქალაქებში საუცხოვო მდგომარეობა დახვდათ, დელეგაცია დაინტერესდა პროვინციის საკითხით.

ჩვენ წამოვედით მოსკოვიდან პროვინციის დასათვალიერებლად.

როსტოვში ისინი განცვიფრებული დარჩნენ ქალაქის მრეწველობით, შემდეგ გროზნაში და ბაკოში საბოლოოდ დარწმუნდენ ჩვენი წინსვლის საქმეში.

რაც უფრო უახლოვდებოდით სამხრეთს, გერმანელი მუშები მეტ აღტაცებაში მოდიოდენ; მათ დაანახეს, რომ ჩვენ ვზრუნავთ მუშებისათვის. მათ დაათვალიერეს მუშათა სახლები და მუშათა ახალშენები გროზნაში და ბაკოში, ნახეს აგრეთვე სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

ნაციონალური რესპუბლიკების დათვალიერების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ საბჭოლოოთ აეხილათ თვალები და დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საუცხოვოთ გადაუჭრია ეროვნული საკითხი.

მათ თავისი თვალით ნახეს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების ძმური თანამშრომლობა და სთქვეს, რომ გერმანიაში სულ სხვა განწყობილებაა შექმნილი ბურჟუაზიის გავლენით; გერმანიაში ბურჟუაზია მრგვალ ქუდიანებს (აღმოსავლეთლებს) ადამიანებათ არ სთვლის; აქკი სულ სხვა სურათია გადაშლილი.

მათ ძალიან სასიამოვნოთ მიაჩნიათ, რომ ქალთა თანასწორობა აქტარდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რაც შეეხება საქართველოს, უნდა ითქვას, რომ მათ აინტერესებთ საკითხი: მართლა ძალით შემოვიდა რუსეთის ჯარი და საქართველოს მშრომელთა სურვილების წინააღმდეგ, ძალით, დაიპყრო საქართველო თუ არა?

ამხ. ელიავას სიტყვამ და განმარტებამ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: მათ დაინახეს, რომ საქართველო კულტურული და ეკონომიური განვითარების გზაზე არის დამდგარი და საბჭოთა რუსეთი ნივთიერათ დიდ დახმარებას უწევს მას.

ისინი დარწმუნდენ, რომ პოლიტიკურ სფეროში არავითარი ტერორი და ძალადობა არ არის.

გამასწორებელი სახლის დათვალიერებამ მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ყოფილ მენშევიკებთან საუბრის შემდეგ ისინი დარწმუნდენ, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს მენშევიკები შეცდარ გზას დაადგენ, როცა გაემიჯნენ საბჭოთა რუსეთს და ევროპის ბურჟუაზიასთან დაიჭირეს კავშირი.

ამხ. ელიავას სიტყვებიდან მათ გაიგეს, რომ მენშევიკებმა ვერ მოაგვარეს მიწის საკითხი და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიჭრა ეს საკითხი გლეხობის სასარგებლოთ.

გერმანელი მუშების დელეგაციას ამ ჟამად აინტერესებს საქართველოს სოფლების, საქართველოს პროვინციის მდგომარეობა და მისი აეკარგი.

დღევანდლამდე ნახულით კი ისინი მეტათ კმაყოფილი არიან და საჯაროთ აღნიშნავენ კიდეც ამას.

გერმანელმა მუშებმა ნახეს აგრეთვე კედლის გაზეთი „არსენალის მუშაკი“. დასასრულ კმაყოფილნი ნახულ-გაგონილით გერმანელი მუშები მეგობრულ თ გამოემშვიდობენ ჩვენ მუშებს და მადლობა გადაუხადეს მათ ასეთი ამხანაგური შეხვედრისათვის.

არსენალიდან გამოსვლისას გერმანელ მუშებთან მიეიდა არსენალის მუშა ამხ. ენუქიძე, რომელმაც სთხოვა დელეგატებს გულწრფელი და ძმური სალამი გადასცენ გერმანიის მუშებს საქართველოს მუშათა კლასის სახელით.

— გადაეცით, გერმანელ ამხანაგებს,—ამბობს ამხ. ენუქიძე,—რომ ჩვენ ვვიყვარს ჩვენი ხელისუფლება და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული ვმუშაობთ. უამბეთ მათ ის, რაც თქვენი საკუთარი თვალით ნახეთ და გადაეცით, რომ საქართველოს მუშათა კლასი წინ მიდის და იბრძვის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობისათვის.

არსენალიდან დელეგაცია დაბრუნდა სასტუმროში, საიდანაც ცოტა შესვენების შემდეგ გაემგზავრა ზაპესში.

ზემო-ავჭალაში

გუშინ, დღის 2 საათზე, გერმანიის მუშათა დელეგაცია ესტუმრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურს.

დელეგაციას თან ახლდენ ამხ. სენიუშკინი, სემკოვი, ჭელიძე, გოგობერიძე და სხვა ადგილობრივი პროფესიონალური მუშაკები.

დელეგაციის პირველ ჯგუფს ზაჰესში შეუერთდა მეორე ჯგუფი, რომელიც დილით ასურეთში იყო გამგზავრებული.

დელეგაციამ დაათვალიერა მთავარი ჯებირი, განათხარი, აუზის ადგილი და სხვა ნაშენები.

გზადაგზა დელეგატები ესაუბრებოდენ მუშებს, ეკითხებოდენ თუ როგორია მათი შრომის პირობები, როგორია შრომის ხელფასი, კმაყოფილი არიან თუ არა და სხვა.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სამუშაოებმა მეტათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე.

ზაჰესიდან დელეგაცია გაემგზავრა მცხეთის დასასვენებელ სახლებში.

მათ აინტერესებთ თვითეული წერამალი, ეკითხებიან სამუშაოების აუმინისტრაციას, თუ როდის დაიწყო სადგურის აგება, როდის იქნება ის დამთავრებული, რა დაჯდება, რამდენი მუშა მუშაობს და სხვა.

დელეგაციას ახსნა-განმარტებას აძლევდა სამუშაოების ხელმძღვანელი, ინჟ. ჭიჭინაძე.

შემდეგ დელეგაცია დაესწრო ტენენტორული სადგურის საძირკვლის ჩაყრას. საძირკვლის ჩაყრას დაესწრენ აგრეთვე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე შ. ელიავა და საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი მიხა კახიანი.

საძირკველის ჩაყრის დროს ამხ. ელიავამ აღნიშნა, რომ ჩვენ განსაკუთრებით კმაყოფილი ვართ, რომ ზემო-ავჭალის სადგურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის საძირკვლის ჩაყრას ესწრებიან გერმანელი მუშები.

მცხეთაში

ზემო - ავჭალიდან დელეგაციის ორივე ჯგუფი გაემგზავრა მცხეთაში დასასვენებელი სახლების დასათვალიერებლათ.

დელეგატებმა დაათვალიერეს რამოდენიმე დასასვენებელი სახლი, გამოელაპარაკენ მუშებს, გამოიკითხეს, თუ როგორი პირობებია დასასვენებელ სახლებში, კმაყოფილი არიან თუ არა ისინი იქ შემოღებული რეჟიმით და სხვა.

დასასვენებლათ მყოფი მუშები ხალისით აძლევდენ პასუხს უცხო სტუმრებს, აღნიშნავდენ, რომ პირობები მეტათ კარგია და უკეთესის სურვილიც-კი შეუძლებელია.

რამოდენიმე ხნის შესვენების შემდეგ დელეგატები დასასვენებელი სახლების ადმინისტრაციამ მიიპატიჟა სადილზე.

ამ დროს ტყეებში სასეირნოთ გაბნეული მუშები და მუშა-ქალები მოგროვდენ დასასვენებელი სახლის ეზოში, შეკრეს წრე და გამართეს ცეკვა-თამაში.

მათმა სახალისემ, სიმღერამ და ხიარულებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე.

დასასრულ დელეგატები მეგობრულად გამომშვიდობნენ მუშებს და დასასვენებელი სახლის ადმინისტრაციას და მადლობა გადაუხადეს მათ ძმური შეხვედრისა და მიღებისათვის.

დელეგატები ერთმანეთს უზიარებდენ თავის შთაბეჭდილებებს; გუშინდელმა მგზავრობამ, განსაკუთრებით კი ზაჰესის დათვალიერებამ მათზე მეტად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

რაც შეეხება დელეგატები თბილისში შემოვიდენ, დემონსტრაცია უკვე დაწყებული იყო.

ქუჩებზე ჩამწკრივებულან მუშები და „ვაშა“-ს ძახილით ეგებებოდენ გერმანელ სტუმრებს.

თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია

ჩვენი დედა-ქალაქის საზეიმო ისტორიაში კიდევ ერთი ფერადი დღე ჩაეწერება.

გერმანიის დელეგაციამ შთაბეჭდილების სრული სურათი უნდა გადაიღოს თბილისის პროლეტარიატიდან.

სრულ თორმეტ საათზე ყველა ფაბრიკა-ქარხნებმა შესწყვიტეს თავიანთი ჩვეულებრივი მუშაობა.

დაუქმდენ დაზგები. შეჩერდენ მანქანები.

ეუენჯორ

მელითონე ს.-დ.

მაგრამ იქათ სანაცვლოდ ამუშაადენ პროფკავშირები, ადგილკომები, სხვა და სხვა ორგანიზაციები.

გამოცხადებულია სრული საზეიმო მობილიზაცია ყველა მუშების, ყველა მოსამსახურეების და ფეთი მობილიზაცია ყოველთვის მზათ-მყოფ ახალგარდა პიონერებისა.

ორი საათიდან თბილისის ქუჩები საგანგებოთ დაცალიერდენ, რომ ხუთ საათზე ახლათ გამოფინეს მთელი ქალაქი ხალხით უძღეს—რუსთაველის პროსპექტზე.

ექვსის ნახევარზე უკვე ყველა ფეხზე სდგას, ყველა მზათ არის.

მუშათა სასახლის წინ ამართული ერთი ტრიბუნა. ხელოვნების მუზეუმის წინ კი მოსჩანს მეორე.

დარაზმული ორგანიზაციები რიგ-რიგათ ჩამწკრივებულან პროსპექტის თვალ-დასაღალ სიგრძეზე და ბოლო მაინც არ უჩანს.

მათ თავზე კი იალქნებივით დაფრიალებენ უთვალავი წითელი დროშები.

თეთრი პლაკატები და განცხადებანი ხომ ცხვრის ფარასავით მრავალია.



ოგბერენდერ

ფეიქარი ს.-დ.

მარჯვნივ და მარცხნივ შენდება ხალხის მმოძრავი და თანაც მტიდრო კედელი.

ორგანიზაციებ გარეთ დარჩენილი ხალხიც მიეშურება ყურადღების ცენტრისკენ—მუშათა სასახლისკენ.

აგერ ტროტუარზე ირევიან ერთმანეთში ქურთი მეეზოვე, გუშინ განთავისუფლებული პარიტეტელი, ზალეა ელიავა, კოპშია გოგონა, ქუჩის ბიჭი და სხვა არეული რჯულის ხალხი.

ტრიბუნაზე და იმის ახლო-მახლო უკვე დგგროვდენ ჩვენი ხელისუფლების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ტრიბუნის პირდაპირ გამზადებულან კინოსი და ფოტოგრაფიის მოუსვენარი აპარატები.

ექვსი საათი გავიდა. დელეგატები არ სჩანან.

მაგრამ აგერ ზემო-ავჭალიდან მოგავლაა გამტვერიანებულმა ავტომობილებმა უკვე შემოარღვიეს ლენინის ქუჩა და რუსთველის პროსპექტი.

ხალხმა, მუშებმა, პიონერებმა უკვე იცნეს ისინი, ვისაც ელიან და მთელ გზა-სავალზე გაისმის ტაში, ვაშა, მესიჯა და კიდევ რაღაც ხმა-მაღალი, გამოფრკვეული გუგუნი, რაც უეჭველათ ნიშნავს გულწრფელ მისალმებას, სიხარულს და მეგობრობას.

გერმანელმა დელეგატებმა იციან მხოლოდ ერთი რუსული სიტყვა „ტოვარიშჩ“

მათ შეიძლება ესეც არ სცოდნოდათ და მაინც თავით-ბოლომდის გაეგოთ, რას ჰხატავდა, რას გამოსთქვამდა ეს საგანგებოთ მოზღვავებული ორგანიზაციები და ორივ მხარეს გავსებულ ხალხი.

სრულ შვიდის ნახევარზე დაიწო საზეიმო მსვლელობა. ტრიბუნაზე გადმომდგარ დელეგატების წინ მიდიან ეს უთვალავი მუშათა და მოსამსახურეთა ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ რევოლიუციის მებრძოლებს, იმის ნაყოფს და იმის დარაჯებს.

წითელი იალქნები — დროშები მიაკურებენ ამ ცოცხალ დრედნოუტებს — ორგანიზაციებს და თან ხალხის ცამდის ამწვდომ ვაშას ძახილი და ტაშის ცემაში მძლავრათ იჭრება სამხედრო მუსიკისა და ზურნის გუგუნი.

ბევრჯერ გაუკლიათ ასეევ ზეიმით ამაეე ხალხს, ამავე ადგილას. მაგრამ ამავე დროს ეს გაელა ყოველთვის სხვადასხვა, ერთმანეთს არა ჰგავს.

ამ ზეიმს ყოველთვის შინაარსსა და ელფერს აძლევს ის, თუ ვის უხვდებიან, ვის ესალმებიან.

გერმანელი ამხანაგები აქ უკვე კარგათ ჰხედავენ, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სრულიად მიავიწყებული მუშები თუ როგორ ფაშობენ საბჭოთა სამფლობელოში და რა პატივისცემით უხვდებიან მათ თავიანთავე მოძმე მუშები.

ოტტო. რიხტერ

მელითონე, კომუნისტი.

დროშები დროშებს მოსდევენ ერთ ორგანიზაციები—ორგანიზაციებს:

აგერ წითელ საყელოიანი პიონერები ასნი და ათასნიც, რომლებიც გამზადებული ხელით ყველას აკვირბენ, ხომ მზათ არიან და დელეგატების შეძახილზეც ერთხმათ არღვევენ ჰაერს:

— მზათ ვართ!

აგერ ომში დასახიჩრებულთა ჯგუფი ავტოთი მოეშურება, რომ იმათაც მიუძღვნან სალამი გერმანიის სახელოვან პროლეტარიატის ჯარისკაცებს.

რუსთაველის დასაწყისიდან კი ფერად-ფერადათ მოანათებს ტრამვაის ვაგონი. საგანგებოდ აკირწყლული ელექტრონის ლამფებით მოსდის და მოაქანებს უშველებელ დევიზს მთელი მუშათა კლასის ერთიანი ფრონტისას.

ამ დროს ზარების რეკვით სასახლის მხარედან მოექანებიან აწყვეტილი გველივშაბებივით ცეცხლის მქრობელთა ავტოები.

სწორედ პირდაპირ წით.-არმიელთა თეატრის ეზოში რაღაცა ცეცხლის ფათერაკი მომხდარიყო და იქ მიეშურებოდენ.

ეტიურმერ

დელეგაციის თარჯიმანი

ეს საუცხოო შემთხვევა იყო, რომ ნამდვილი პრაქტიკით მიეღოთ მონაწილეობა დემონსტრაციაში ჩვენ სახელოვან მეხანძრეს.

დაღამდა.

ტრიბუნა ისევ სავსეა.

ქუჩებიც სავსეა.

მუშათა სასახლეზე, მთავრობის სასახლეზე, აღმასკომზე აელვარდენ ფერადი ვარსკვლავები ელექტრონისა და ამგვარათ გაალამაზეს ზაფხულის ღამე მოზეიმე თბილისისა.

მოკმბ.

გერმანიის მუშათა დელეგაციის შთაბეჭდილებები

(საუბარი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან—ამხ. სენიუშკინთან)

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის მუშათა დელეგაციაზე საბჭოთა კავშირმა, ამიერ-კავკასიამ და კერძოთ საქართველომ, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. სენიუშკინმა განაცხადა შემდეგი:

— გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოდიოდა იქვითინ სავსე, რადგან ბურჟუაზიული გაზეთები და განსაკუთრებით „ფორვერტსი“ საშინელ პროვოკაციას აკეთებდენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ისინი სწერდენ, რომ გერმანიის მუშათა დელეგაციას ისეთივე ხედი ეწევა, როგორც გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს.

მაგრამ „ფორვერტს“ გაუცრუდა იმედები.

ლენინგრადში მოსულისთანავე გერმანელმა მუშებმა დაინახეს ჩვენი სინამდვილე. შემდეგ მოსკოვში ჩამოსვლისა და მოსკოვ-ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერების შემდეგ ისინი სავსებით დარწმუნდენ ევროპაში გავრცელებულ ხმების სიყალბეში.

ვინაიდან სატახტო ქალაქებში საუცხოვო მდგომარეობა დახვდათ, დელეგაცია დაინტერესდა პროვინციის საკითხით.

ჩვენ წამოვედით მოსკოვიდან პროვინციის დასათვალიერებლად.

როსტოვში ისინი განცვიფრებული დარჩნენ ქალაქის მრეწველობით, შემდეგ გროზნაში და ბაკოში საბოლოოდ დარწმუნდენ ჩვენი წინსვლის საქმეში.

რაც უფრო უახლოვდებოდით სამხრეთს, გერმანელი მუშები მეტ აღტაცებაში მოდიოდენ; მათ დაანახეს, რომ ჩვენ ვზრუნავთ მუშებისათვის. მათ დაათვალიერეს მუშათა სახლები და მუშათა ახალშენები გროზნაში და ბაკოში, ნახეს აგრეთვე სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

ნაციონალური რესპუბლიკების დათვალიერების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ საბჭოლოოთ აეხილათ თვალები და დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საუცხოვოთ გადაუჭრია ეროვნული საკითხი.

მათ თავისი თვალით ნახეს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების ძმური თანამშრომლობა და სთქვეს, რომ გერმანიაში სულ სხვა განწყობილებაა შექმნილი ბურჟუაზიის გავლენით; გერმანიაში ბურჟუაზია მრგვალ ქუდიანებს (აღმოსავლეთლებს) ადამიანებათ არ სთვლის; აქკი სულ სხვა სურათია გადაშლილი.

მათ ძალიან სასიამოვნოთ მიაჩნიათ, რომ ქალთა თანასწორობა აქტარდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რაც შეეხება საქართველოს, უნდა ითქვას, რომ მათ აინტერესებთ საკითხი: მართლა ძალით შემოვიდა რუსეთის ჯარი და საქართველოს მშრომელთა სურვ

დელეგაცია ასურეთში

გუშინ დილით გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთი ნაწილი გაემგზავრა ასურეთში. გერმანელთა კოლონიის დასათვალიერებლათ.

გერმანელმა მუშებმა დაათვალიერეს გერმანელ კოლონისტების სამაწყობოდ იარაღები და გაეცნენ ნიწყნ დამუშავების წესებს.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს სკოლა, კლუბი და გლეხების რამოდენიმე სახლი.

დასასრულ დელეგატებმა თავი მოიყარეს გლეხებთან და გამოესაუბრენ მათ.

დელეგატებთან საუბრის დროს, გერმანელმა გლეხებმა განაცხადეს, რომ მენშევიკების დროს მათ განიცადეს რამოდენიმე მძიმე წელი, მაგრამ ეხლა ისინი იარწმუნებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ნაათი მეურნეობა აყვავდება.

გლეხებმა შემდეგ აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორათ გადასწყვიტა ნაციონალური საკითხი. მათ ეხლა აქვთ სკოლა გერმანულ ენაზე, რაც არც ერთი მთავრობის დროს არ ჰქონიათ.

გლეხებთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ დელეგატები ძმურათ გამოეთხოვნენ მათ და დაბრუნდენ სასტუმროში, საიდანაც გაემგზავრენ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლათ.

საუბარი დელეგატებთან

გერმანიის მუშათა დელეგაციის წევრებმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს გაუზიარეს მას შთაბეჭდილებები, რომელიც მიიღეს საქართველოში მოგზაურობიდან და კერძოთ გუშინდელი დემონსტრაციიდან.

ჰანს ბეკ
(დელეგაციის თავმჯდომარე, კოლონისტი)

— უპირველეს ყოვლისა მე უნდა აღვნიშნო,—ამბობს ამბ. ბეკი,— რომ ჩვენ თბილისში არ მოველოდით ასეთ ენტუზიაზმს; არ მოველოდით იმიტომ, რომ თბილისში არ არის მსხვილი ინდუსტრიალური ცენტრი.

ეს დემონსტრაცია იყო საქართველოს პროლეტარიატის ნამდვილი სულისკვეთების გამომსატყველი; ენტუზიაზმი ემჩნეოდა არა მარტო მუშებს, არამედ მოსამსახურეებს და დანარჩენ მოქალაქეებსაც.

დემონსტრაციამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

საქართველოში ჩვენი დელეგაციისათვის ყველაზე უფრო გადამწყვეტი ფაქტორი იყო მენშევიკების მდგომარეობა ამ ჟამათ, რადგან ამის შესახებ გერმანიის ბურჟუაზიული პრესა ათასნაირ ყალბ ცნობებს და ჭორებს ავრცელებს.

ჩვენ დავთვალიერეთ თქვენი ციხეები და უნდა გითხრათ, რომ პირდაპირ განცვიფრებული დავრჩით იმ ჰუმანიური რეჟიმით, რომელიც იქ არსებობს. ჩვენ გავიცანეს ეული ვართ იმ პირადი თავისუფლებით, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს საუბარი მენშევიკებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათ მეტათ ჰუმანიურათ ეპრობა.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, ჩვენი დელეგაცია თავისი მოგზაურობის შესახებ გამოსცემს ოფიციალურ ანგარიშს, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნული იქნება ის, რაც ვნახეთ საბჭოთა კავშირში; ამას გარდა დელეგაციის ყველა წევრები გამოვიტანენ მუშების მასიურ კრებებზე, სადაც გააცხობენ გერმანელ ამხანაგებს საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობას.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ანგარიშს ძლიერათ შეხვდებიან გერმანიის [illegible] ბურჟუაზიის [illegible] ძლევანელთა მაღალი წრეები, მაგრამ სამაგიეროთ გერმანიის მუშები მოთუმენლათ ელიან ჩვენი ანგარიშის გამოქვეყნებას, მით უმეტეს, რომ ინგლისის მუშათა დელეგაციის ანგარიშმა მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბეერი
(მპეჭდავი ჰესენიდან, სოც.-დემოკრატი).

— პირველი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ გადავდგამთ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, იქნება ის, რომ ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს, რომ სწორი ინფორმაცია მიგაწოდოთ გერმანიის მუშებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ და გავფანტოთ ის ჭორები, რომელსაც იქ ავრცელებენ ბურჟუაზიული და ნაწყლობრივ სოციალ-დემოკრატიული გაზეთები.

ჰესენში, საიდანაც მე ვარ, პრეზიდენტათ არის სოციალ-დემოკრატი. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ის გაილაშქრებს ჩვენი დელეგაციის ანგარიშის წინააღმდეგ. შეიძლება მან აკრძალოს კიდეც მისი გავრცელება ჰესენის მუშებს შორის.

მე მოსენებით გამოვალ ჰესენის იმ ნაწილის მუშების კრებებზეც, რომელიც ამ ჟამით საფრანგეთის ჯარების მიერ არის დაკავებული. ამნაირადაც მე შეიძლება მეჯავსა მოვიხდეს საფრანგეთის ხელისუფლებასთან.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გავაცნობ ჰესენის მუშებს იმას, რაც აქ ჩემი თვალით ვნახე და რამაც განცვიფრებაში მომიყვანა.

გუშინ, საღამოს 10 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გერმანიის მუშათა დელეგაციის საპატივცემულოთ გამართა ბანკეტი, რომელსაც დელეგატებთან ერთად დაესწრენ ადგილობრივი პასუხისმგებელი მუშაკები.

დღეს, დიდის 8 საათზე, დელეგაცია მიემგზავრება ბორჯომში, იქიდან ბათომში და აფხაზეთში. თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება მოსკოვში, საიდანაც დაბრუნდება გერმანიაში.

ინდიელ-დიპლომატები

(„ზაკრასტან“-ს ცნობებით)

რა უშლის ხელს ინგლისს საბჭოთა კავშირის ვაჭრობას

ლონდონი. 5 აგვისტო. თემთა პალატაში კამათის დროს ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ ლენსბერიმ განაცხადა, რომ დაბრკოლება ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში იქმნება კრედიტის უქონლობის გამო. მთავრობამ უარჰყო მაკდონალდის მიერ დადებული ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან და არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევისაკენ ვალების საკითხში.

შრომის მინისტრმა მაიტლენდმა სიტყვა გააწყვეტინა ლენსბერის და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დღევანდელ ექსპორტ-იმპორტის მეხედვით, საბჭოთა მთავრობას უნდა ჰქონოდა მრავალმილიონიანი კრედიტი, თუ კი ის მოისურვებდა მის გამოყენებას.

ლენსბერიმ უპასუხა, რომ ამ საკითხის განხილვა შეიძლება 7 აგვისტოს, ამასთანავე მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა ითავსებდა განცხადებას ინგლისის მთავრობის ორგანოებში, მაგრამ ეს განცხადებები აკრძალული იყო. ბოლოს ლენსბერიმ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა შეგნებულად ხელს უშლის ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას.

ინგლისს საფრანგეთს აშინებს ინგლისის გაძლიერება

ბრიანი მიემგზავრება ლონდონში

ლონდონი. 5 აგვ. მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ბრიანს განზრახული აქვს მახლობელ დღეებში ჩავიდეს ლონდონში.

ბრიანის გამგზავრების ოფიციალური მიზანია საგარანტიო ხელშეკრულების განხილვა, მაგრამ მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ მისი გამგზავრების ნამდვილი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რათა ჩემბერლენისაგან მიიღონ დაპირება, რომ ინგლისის მთავრობას სახეში არა აქვს ბალტიის ხელმწიფოების ბლოკის შედგენა ინგლისის გავლენის ქვეშ. საფრანგეთის მთავრობის წრეებში, როგორც სჩანს, შეშინებული არიან ამას შინად ლონდონში ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის მეეროვიცის და ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პუსტას ჩასვლით. საფრანგეთის აზრით ბალტიის სახელმწიფოების ბლოკის შედგენა მოასწავებს კონფლიქტს საბჭოთა კავშირთან და ამ კონფლიქტში შეიძლება ჩართული იქნას პოლონეთი.

სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად ბრიანის საუბარი ჩემბერლენთან შეეხება აგრეთვე ჩინეთის ამბებს, ტანჟერის და მოსულის საკითხებს.

ოდი მაროკოში

აბდ-ელ-ქერიმი ხელს არ აწერს სამარცხვინო ზავს.

პარიზი, 5 აგვისტო. „ჰავასის“ საგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ერთ-ერთ პარიზელ გაზეთის ინფორმაციას, რომელშიაც მოყვანილია საზავო ხელშეკრულების პირობები, რომელიც ვითომდა წარუდგინეს აბდ-ელ-ქერიმს. სამინისტრო აცხადებს, რომ **აბდ-ელ-ქერიმი დღევანდელ მომენტამდე გაურბოდა მოლაპარაკებას საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატებთან, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გაეცნოთ მისთვის საზავო ხელშეკრულების პირობები.**

რა ხდება ჰოლანდიაში.

უშვილიან კი?

ვარშავა, 5 აგვისტო. სინამდვილე აღმოჩნდა ხმები, რომ გრაბსკი შეებულებიდან დაბრუნდა ვარშავაში ოქროს დაცემის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ.

პრემიერის თამამჯდომარეობით შესდგა რამდენიმე საათზე ოქროს ფასი, რომელზედაც იხილავდენ ოქროს დაცემასთან ბრძოლის საკითხს და გამომუშავებულ იქნა ღონისძიებათა გეგმა, რომელსაც საიდუმლოთ ინახავენ.

დოლარის არაოფიციალური კურსი ქანაობს 5,5 და 5,7 ოქროს შორის.

ხმალს ლესავენ.

ვარშავა, 5 აგვისტო. „ერეჩ პოსპოლიტა“ განაგრძობს კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ უკიდურეს რეპრესიების მიღების სასარგებლოთ, გაზეთი აცხადებს, რომ საჭიროა საბჭოთა მოღალატეების ნათესავების არა მარტო მძევლებათ აყვანა, არამედ სიკვდილით დასჯის შემოღებაც კომუნისტების წინააღმდეგ, „რომლებიც სჩადიან ბოროტმოქმედებას სახელმწიფოს წინაშე“. გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ „დრო ძალიან ცოტა დარჩა და აუცილებელია პოლონეთში კერენსკინის მოსპობა“.

„კურიერ პოლსკა“, ეხება რა მრავალ წინადადებას კომუნიზმთან ბრძოლის შესახებ, ამბობს, რომ „დასჩრობის სახით სიკვდილის შემოღება არაა საჭირო, ვინაიდან იგი არაა ესთეტიური და უფრო ძვირიც დაჯდება: ამისათვის საჭიროა სპეციალისტ-ჯალათთა კადრის ყოლა“.

გაფიცვა ზემო-სილეზიაში.

ვარშავა, 5 აგვისტო. ზემო-სილეზიაში, 10 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო, გაიფიცა 10.000 მუშა. პოლონეთის მთავრობის სათანადო განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პრინციპიალურათ“ იგი თანახმა 8 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე, მაგრამ პრაქტიკულათ ასეთი გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით, რასთან დაკავშირებითაც „დროებით“ დაცული უნდა იქნეს 10 საათის სამუშაო დღე.

ოვეციის მუშეგი საბჭოთა [illegible] შესახებ

სტოკჰოლმი. 5 აგვ. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშები აღტაცებით იგონებენ თავიანთი მოგზაურობას.

სოციალ-დემოკრატიული პრესა სცდილობს შეასუსტოს შთაბეჭდილება, რომელიც სოციალ-დემოკრატმა მუშებმა მიიღეს თავიანთი მოგზაურობიდან.

კომპარტიის ორგანო „პოლიტიკენი“ შემდეგნაირად ახასიათებს მოგზაურობის მონაწილეთა შთაბეჭდილებას: **საბჭოთა კავშირში ჩვენ მივიღეთ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ახალ მსოფლიოში ამოვყავით თავი“.**

[illegible] ესტონეთის მუშათა კლასის [illegible] ბობას, თეთრ ტეროს და [illegible] შვეციის დელეგაციისადმი [illegible] თის ხელისუფლების მტრულ [illegible] ყობილებას და განაცხადა, რომ [illegible] ციის დელეგაციის მოგზაურობა [illegible] ნებლივ დადასტურა ბოლშევიკების გზის სასწორი. სტენმა აღ[illegible] ნა, რომ სოციალ-დემოკრატ [illegible] გულწრფელად შეხვდენ საბ[illegible] კავშირში და გამოთქვა სურ[illegible] რათა საბჭოთა კავშირმა გაა[illegible] ნოს შვეციის მრეწველობა [illegible] განსაკუთრებული დელეგაცია.

ახალი მთავრობა იაპონიაში

ტოკიო 5 აგვისტო. სეიუხონტოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (სეიუკაის პარტიის მემარჯვენე ფრთა, რომელიც მას ჩამოშორდა 1924 წლის დასაწყისში) გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მესაძლებელია სეიუკაის პარტიასთან გაერთიანება. ცენტრალ. კომიტეტი აცხადებს, რომ ის მზადაა ითანამშრომლოს მასთან ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ორივე პარტიები იმყოფებიან ამ ჟამად ოპოზიციაში.

გაზეთი „ხოკი“ მმართველ პარტიის კენსეკაის ორგანო გამოსთქვამს იმედს, რომ ახალი კაბინეტის ერთგვარი შემადგენლობა [illegible] შეუწყობს იაპონიის საგარეო პოლიტიკის წარმატებას. გენერალი [illegible] კენსეკაის პარტიის ლიდერი, [illegible] თის საკითხში წინააღმდეგი [illegible] ჩარევის პოლიტიკისა და ჩინეთთან თანამშრომლობის. მაგრამ ეს პოლიტიკა გაზეთის აზრით არის [illegible] ბითი. ტანაკა მუშაობს ერთგულ [illegible] თავდაცვის გასაძლიერებლად [illegible] წინააღმდეგია განიარაღებას, [illegible] გამოც სეიუკაის პარტიის გამოსვლა [illegible] მთავრობის კოალიციიდან სრულიად [illegible] ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენ[illegible].

საბერძნეთ-ბულგარეთის უთანხმოება

ვენა, 5 აგვისტო. სოფიიდან მიღებული ცნობის თანახმად, საბერძნეთის მთავრობამ გადასდგა დიპლომატიური ნაბიჯები სტანიშევის (ბულგარეთში) საბერძნეთის ქვეშევრდომის მოკვლის გამო. და იმავე დროს გააძლიერა სამხედრო ძალები ბულგარეთის საზღვარზე. საბერძნეთის [illegible] ტის საპასუხოთ ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მან დაიწ[illegible] სამოსამართლო კვლევა-ძიება მკვლელთა წინააღმდეგ.

მცირე ანტანტის კონფერენციის ღონ

ვენა, 5 აგვისტო. მცირე ანტანტის მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებათ, რომელიც დანიშნულია სექტემბერში, რუმინეთის პრესა იხილავს მცირე ანტანტის გაფართოების შესაძლებლობის საკითხს მასში პოლონეთისა და საბერძნეთის შეყვანით.

საბერძნეთი, თანახმად ათენი[illegible] რუმინეთის ელჩის ცნობისა, [illegible] ლობს დაკავშირებას, უმთავრესად [illegible] რუმინიასთან. საბერძნეთის [illegible] რომაამ შესცვალა თავისი პოლიტ[illegible] რუმინელ უმცირესობისადმი საბ[illegible] ძნეთში.

ალმოსავლეთი

სირია

აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ

სტამბოლი, 5 აგვისტო. სირიაში დრუზების ტომი აჯანყდა საერთაშ[illegible] გეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. **აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობ[illegible] დებულობენ, აგრეთვე, ინგლისის ჯარებიც, ვინაიდან ინგლისი ეშინ[illegible] აჯანყების ტრანსიორდანიაზე გავრცელებისა. აჯანყებულებს მეთაურობ[illegible] ეშინი არაბი.**

ლონდონი, 5 აგვისტო. იერუსალიმი[illegible] ოფიციალური წრეები ამბობ[illegible] ლენენ ხმებს, თითქოს ინგლისის ჯარები მხარს უჭერენ საფრანგეთის ჯ[illegible] რებს ჯებელეში აჯანყებულ დრუზების ტომთან წინააღმდეგ, რადგანაც [illegible] დრუზების გამოსვლა ტრანსიორდანიაში სრულიადაც არ არის მიმართული [illegible] ლი ინგლისელების წინააღმდეგ.

ნიოელ რესპუბლიკებში

კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება

მოსკოვი, 5 აგვისტო. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ.

აღნიშნულ იქნა დამახასიათებელი თავისებურება უმუშევრობისა საბჭოთა კავშირში, სადაც უმუშევრობის ზრდასთან ერთად შეინიშნეული ცალკე პროფესიების კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობა.

კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლათ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარების მიზნით, გადაწყვეტილია შექმნა მუდმივ მოქმედი ცენტრალურ კომისიისა. მუშაობა, შრომის შრომების აღრიცხვაზე მყოფთა რიცხვიდან კვალიფიციურ მუშების გამოსარჩევათ, აღიარებულია დამაკმაყოფილებელ მუშაობათ.

რევოლიუციონური კანონიერების შესახებ

ევროპა საბჭოთა და საოლქო კომიტეტებს

ცირკულიარულად

მე XIV პარტკონფერენციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საკითხს რევოლიუციონური კანონიერების გატარების შესახებ. გეგმაში აღნიშნულ საკითხის გარშემო გატარებული იქნეს ხანგრძლივი ხასიათის კამპანია, და არა დაკვრითი წესით რამოდენიმე დღის განმავლობაში დამთავრებით. მოხსენებისათვის აქვე დართული თეზისებით იხელმძღვანელეთ: პარტ უჯრედების დიდ კრებებზე, თემსაბჭოების პლენუმებზე, უპარტიო მშრომელი მასის ფართე წრეების მოწვევით და თანადასწრებით.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი მ. ოკუჯავა.

საბ. სპ. განყ გამგის მაგიერ კ. გოგოლაძე.

თეზისები

1. მე-14 პარტკონფერენციამ და სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობამ საგანგებო მსჯელობის საგნათ გამოყვეს საკითხი რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ, როგორც პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი, რომლის გადაუჭრელადაც შეუძლებელია ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ძირითად ამოცანათა განხორციელება და, მასასადამე, შეუძლებელი შემდეგი წარმატებითი სვლა სოციალიზმისაკენ.

2. რევოლიუციონურ კანონიერების საფუძვლების დაცვის აუცილებლობის ასეთი ხაზგასმითი აღნიშვნა, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ჩვენ აქამდე ვსცხოვრობდით ან ეხლა ვსცხოვრობდეთ კანონების გარეშე ან და შიშველ ადმინისტრატიულ თვითნებობისა და თვითგამგებლობის პირობებში.

1921 წლიდან ე. ი. სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტიდან, სწარმოებდა და ერთიც სწარმოებს ცინცვასთან, ლანძღვა-გინებასთან, გლეხების აბუჩად აგდებასთან და მასსებზე ძალადატანებასთან, რაც არც ერთ გლეხს არ დავიწყებია, რუსეთში და ვერც დაივიწყებენ ათეულ წლების განმავლობაში„.

თუ ეხლა ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით უდგებიან რევოლიუციონურ კანონიერების საკითხს, ეს აიხსნება ეხლანდელი მომენტის თავისებური პირობებითაც, როცა ხელისუფლების ორგანოების მხრივ კანონების დარღვევა განსაკუთრებით ქვედა „პარატებში“ რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მშრომელ მასსებთან, საფრთხეს უქადის პროლეტარული დიქტატურის საფუძვლებს.

3. რაში მდგომარეობს ეს განსაკუთრებული პირობები, ეხლანდელი მომენტის ეს თავისებურება? პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის მეურნეობის სწრაფ აღორძინებაში და მუშურ-გლეხურ მოსახლეობის კულტურული დონის და პოლიტიკურ აქტივობის ზრდაში.

ამ გარემოების წყალობით ის ძველი სალტები, რომელნიც აქამდე ამაგრებდენ მუშურ-გლეხურ ბლოკს, ეხლა უკვე საკმარისნი არ აღმოჩნდენ.

მემამულეთა ბატონობის დამბობა და მათი მიწების გლეხებზე გადაცემა უკვე ისტორიულ ფაქტებად გახდენ და ისინი ამ ბლოკის დასაყრდენ საძირკვლათ ვეღარ გამოდგებიან.

მემამულეთაგან ბრძოლით მოპოვებული მიწების დაცვაზე დამყარებული სამხედრო კავშირი პროლეტარიატისა და გლეხობის შორის თან და თან კარგავს თავის ძველ როლსა და მნიშვნელობას, რადგან რეალური მტერი, რომელიც გლეხობას ამ მიწების წართმევით ემუქრებოდა, ეხლა არ არის.

3. მუშათა კლასისა და გლეხების შორის კავშირის სიმტკიცე არსებულ პირობებში უნდა აშენდეს სრულიად ახალ საფუძვლებზე. ის ეხლა სხვანაირ მიდგომასა და სხვაგვარ ძეთოდებს მოითხოვს.

4. მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის განმტკიცების ეს ახალი საფუძვლები და მეთოდები უშუალოდ გამომდინარეობენ იმ ახალ ამოცანებიდან, რომელიც ამჟამად პარტიამ და ხელისუფლებამ დასახა ეკონომიურ პოლიტიკის დარგში სოფლად. სახელდობრ სოფლის საწარმოო ძალთა განთავისუფლება ყოველგვარი მებოჭვისაგან და გლეხურ მეურნეობის ბოლიანად სოციალისტურ მშენებლობის სფეროში ჩაბმა კოოპერაციის დახმარებით და ეკონომიურ ზეგავლენის გზით საბაზრო ბრუნვისა და სოფლისა და ქალაქის პროდუქტებზე საბაზრო ფასების მოწესრიგებით.

5. მაგრამ სოფლის საწარმოო ძალთა განთავისუფლება შემოკვეთისაგან და აგრეთვე გლეხურ მეურნეობის რაციონალურად მოწყობა, როგორც სასოფლო მეურნეობის შემდეგი განვითარების აუცილებელი პირობები, შეუძლებელია სოფლად მმართველობისა და ხელმძღვანელობის მეთოდების სათანადო შეცვლის გარეშე.

უკანასკნელ ხანებში სოფელი ძლიერ გაიზარდა როგორც მეურნეობის მხრივ, ისე განსაკუთრებით შეგნებისა და აქტიურობის მხრივაც.

გლეხური მეურნეობის ზრდა და აგრეთვე გლეხობის სწრაფად მოზარდი კულტურულ-პროლეტკული აქტიურობა ვერ შეუთვისდება სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს. ის მოითხოვს მათ სრულ ლიკვიდაციას ადმინისტრატიულ-პოლიტიკურ მუშაობაში და გადაჭრით და გამბედულათ გადასვლას რევოლიუციონურ კანონიერების უსასტიკესად დაცვაზე.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუცია: „პროლეტკულტურულ სახელმწიფოს შემდეგი განმტკიცებისა და მისდამი გლეხობის ფართე მასსების ნდობის ზრდის ინტერესების, იმ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ეხლა ატარებს პარტია, მოითხოვენ რევოლიუციონურ კანონიერების მაქსიმალურად განმტკიცებას—განსაკუთრებით ქვედა აპარატებში“. რეზოლიუციით პარტკონფერენციამ სთქვა, რომ რევოლიუციონურ კანონიერების მაქსიმალური განმტკიცების გარეშე შეუძლებელია პროლეტარულ სახელმწიფოს გიმაგრება, შეუძლებელია პროლეტარიატისადმი გლეხობის ნდობის ზრდა. რომ ამ ნდობის დაკარგვა გამოიწვევს იმ პოლიტიკის ჩაშლას, რომელსაც ეხლა ატარებს პარტია, ამ რიგათ გამოიწვევს მუშურ-გლეხურ ბლოკის დაშლას და პროლეტარულ დიქტატურას დამარცხებამდე მიიყვანს.

6. აი, რატომ დაისვა ასე მწვავეთ პარტკონფერენციაზე და საბჭოთა მესამე ყრილობაზე საბჭოთა კანონების სასტიკად დაცვის აუცილებლობის საკითხი.

აი, რატომ უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარ ადმინისტრატიულ თვითნებობას და უკანონობას.

საბჭოთა კანონების დამრღვევნი მუშურ-გლეხური ხელისუფლების მოსისხლე მტრები, პროლეტარული დიქტატურის საფუძველის გამმოთხრელებად უნდა იქნან მიჩნეულნი.

7. ცხადია, კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა პირველ-ყოვლისა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა აწარმოონ, პროკურატურის, სასამართლოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სხვა სახით.

ამ მხრივ პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა უკვე მიიღეს მთელი რიგი კონკრეტიული ზომები. გაცემულია გარკვეული დირექტივები და განმარტებანი პარტიულ და საბჭოთა ხაზზე, (პროკურატურა, სასამართლო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, აღმასკომები, და სხ.) თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ბრძოლა რევოლიუციონური კანონიერებისათვის.

იუსტიციის მუშაკთა მოღვაწეობის მეტი ნაყოფიერებისათვის აუცილებელია პროკურატურისა და საერთო სამართლოს მუშაკთა შემადგენლობის გაუმჯობესება. ამ ორგანოებში უნდა შედიოდენ მეტად აქტიური, საბჭოთა ნიადაგზე მდგომი და გლეხობასთან დაკავშირებული უპარტიონი.

მართლმსაჯულობის საქმეში სოფლად ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული გლეხები და გლეხი ქალები, სახალხო მსაჯულთა სახით.

აუცილებელია სასამართლოს ტეხნიკურ თანამშრომელთა შემადგენლობის გაჯანსაღება, მასში პატიოსან, ერთგულ და მუშათა და გლეხთა ნდობით აღჭურვილ მუშაკთა კადრის გაძლიერებით, რომელნიც მოკლებული არიან მუშურ-გლეხურ მასებთან ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ მიდგომის ჩვეულებებს.

ეს ბრძოლა არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოების მონოპოლიას. იუსტიციის ორგანოთა მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სრული თანახმობით და სოლიდარობით ადგილობრივ განათლებისა და მიწათმოქმედების მუშაკებთან, აგრანომებთან და სახალო მასწავლებლებთან.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ გლეხი იცნობდეს ჩვენს კანონებს. მშრომელთა დიდი ნაწილის უფლებრივ უცოდინარობას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

გლეხის ყოფა-ცხოვრებაში არ უნდა დარჩეს არც ერთი ბნელი და გაუშუქებელი მომენტი. სოფლის ცხოვრების დაურწმუნებლობა და უძლურება რესხუბლიკის კანონიერებისადმი შეგნებული დამოკიდებულებით უნდა შეიცვალოს.

რევოლიუციონურ კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ხელისუფლების, მიერ სოფლად მიღებულ ღონისძიებათა ყოველმხრივ დაცვის გასაადვილებლათ აუცილებელია ფართოთ გამოყენებულ იქნან მუშკორები და გლეხკორები, რომელნიც თავიანთ ცნობებით უდიდეს დახმარებას უწევენ ხელისუფლებას საბჭოთა წყობილების მტრების გამოაშკარავების საქმეში.

მაგრამ, რადგან მუშკორებსა და გლეხკორების ასეთი მოღვაწეობა მათადმი მტრულ დამოკიდებულებებს ჰქმნის და ზოგჯერ სისხლით შურის ძიებასაც იწვევს ხოლმე, რევოლიუციონურ კანონიერებისათვის ამ მებრძოლთა დამცველათ ხელისუფლების ყველა ორგანოები და პირველ რიგში პროკურატურა უნდა გამოვიდეს.

8. მაგრამ რევოლიუციონურ კანონიერების გასამტკიცებლად ხელისუფლების მიერ მიღებული მარტო ეს ღონისძიებანი საკმარისი არ არის.

კანონიერების დამრღვევთა მიმართ მარტო დევნა და რეპრესიები არ კმარა.

(რევოლიუციონურ კანონიერებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა მუშურ-გლეხური მოსახლეობის ფართო მასების აქტიური დახმარებ

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ უკანონობა ჩვენში ხდება არა იმდენად ბოროტ განზრახვისა და ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენლის ბოროტი სურვილის შედეგად, რამდენადაც როგორც ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, იაე მოსახლეობის უვიცობისა და უკულტურობის ნიადაგზე.

რომ კანონების დარღვევა მინიმუმამდე შემცირდეს, საჭიროა პარტიული მასსა და მასთან ერთად მუშათა ლა გლეხთა მთელი მოსახლეობა მტკიცედ დაადგენ კანონების დაცვის გზას და კანონიერების ფარგლებში აეწყობდეს ხოლმე ხელისუფლების სათანადო ორგანოებს ადმინისტრატიულ ძალადობასა და კანონების დარღვევის თითოეულ შემთხვევას.

9. რევოლიუციონურ კანონების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ხმოლოდ იმ შემთხვევაში მოგვეცემა დადებით შედეგებს, თუ ჩვენი რეპუბლიკის, როგორც ქალაქის, ისე, განსაკუთრებით, სოფლის მოქალაქენი თავისი აქტიური მონაწილეობით დაეხმარებიან ხელისუფლების ორგანოებს ამ ბრძოლაში.

დიდი დრო, როდესაც ჩვენ შეგვძლებთ „მეჩიდროთ დაუკავშირდეთ გლეხურ მასსას და ვიწყოთ განუხრელი და დაუსრულებელი წინსვლა თუმცა უფრო ნელი ნაბიჯით, ვიდრე ჩვენ ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროთ ისე, რომ ჩვენთან ერთად

ლის მთელ მშრომელი მასსა. მაშინ ჩვენი საქმეები აბსოლიუტურათ დაუძლეველი იქნებიან და ჩვენი წინსვლა წარმოებადა ისეთი სიჩქარით, როგორზედაც ეხლა ოცნებაც კი გვეპარა“. (ლენინი).

ს. კ. პ. (ბ) საბგიტ. საპროპ. განყოფილება.

...ზეტულ კონტრ-რევოლიუციის ...ბასამართლეგის გამოკაკილი

...ეს არის გავეცანი უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებას პარლამენტულ კომეტეტის წევრების მიმართ. არ შემიძლია არ გამოვსთქვა ...ზევებული გრძნობები.

მე საშეალება მქონდა დავსწრებოდი ამ ეშმარიტად ისტორიულ სასამართლოს თითქმის ყველა სხდომებს. მე გავატარე მძიმე დღეები, როდესაც ბრალდებულთა სკამზე ვხედავდი ათეულ პირებს, რომელნიც წინად იბრძოდენ მოწინააღმდეგეებში კაცობრიობის უკეთეს ადგილებისათვის. მათ დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს პროლეტარიატის წინაშე და უკანასკნელის რისხვა ემუქრებოდა მათ. ბრალდება უმრავლესობისათვის დამტკიცებული იყო. ჩვენ ყველ დავსტიროდათ შემცდარ ძმებს, ბოგრამ პროლეტარიატს ეყო ძალა გმტეებია მათთვის დანაშაული. მისმა ბრძნულმა სასამართლომ დაუბრუნა მოტყუებულ ქართველ ხალხს ეს შემცდარი შვილები, რომელთაც სასტიკი სასჯელის ნაცვლად დაინახეს იმ პროლეტარიატის გაწოდებული ხელი, რომელს წინაშე მათ შესცოდეს; ეკვს გარეშეა, რომ ისინი იქნებიან თავიანთი განახლებული საბჭოთა სამშობლოს ინტერესების დამცველები.

თაყვანს ვსცემ პროლეტარიატის ბრძნულ სასამართლოს და ვაცხადებ, რომ თუ დღემდის ვრაცხდი თავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მოქალაქედ მოვალეობის გამო, ამიერიდან მე ვამაყობ ამ დიადი სახელწოდებით, მინდა ვიწამო, რომ პროლეტარული სასამართლოს ეს ბრძნული გადაწყვეტილება გამოაფხიზლებს იმ შემცდარ ჩვენ ძმებს, რომელნიც ევროპის იმპერიალისტების ზეგავლენის ქვეშ იწვევან ბრძოლას კავშირის და, მაშასადამე, საქართველოს პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მრწამს, რომ პროლეტარიატი, რომელმაც თავის რიგებში დაანბრუნა საკვდილის წინაშე მდგომი პარტიტეტულ კომიტეტის წევრები, დაანბრუნებს თავის რიგებში იმ შემცდარ ძმებსაც, რომელნიც თავის ძალ-ღონეს ანმარენ უნაყოფო ბრძოლას პროლეტარული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ყარიბი.

წითელი არმიის ახალ მეთაურთა გამოშვება

ამხ. ფრუნზეს სიტყვა

მოსკოვი, 6 აგვისტო. მოხდა მუშა. და გლეხთა წითელ არმიის სამხედრო აკადემიის და აღმოსავლეთ ფაკულტეტის ახლად კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

მათ სიტყვით მიმართა სამხ. და საზ. კომისარმა ამხ. **ფრუნზემ.** მან თქვა, რომ ეს გამოშვება საშუალებას მოგვცემს უფრო გავაძლიეროთ მუშაობა არმიის მშენებლობის ორგანიზაციული ფორმების განსამტკიცებლათ. აგრეთვე, ეს მოგვცემს საშუალებას ვამაღლოთ მისი კულტურული დონე, სამხედრო ძლიერება და მისი რიგების სიმტკიცე.

„ჯერ კიდევ შარშან-ამბობს ფრუნზე—აკადემია არ წარმოადგენდა მომავალ მეთაურებს ლაბორატორიას, რადგან მოწყვეტილი იყო არმიის საერთო მუშაობას. მიმდინარე წელს კი დიდი მუშაობაა შესრულებული და აკადემიამ არმიასთან დაიპირა მჭიდრო კავშირი, რაც შემდეგში უფრო უნდა გაძლიერდეს“.

ამხ. ფრუნზე შეეხო საერთაშორისო პოლიტიკას, აღნიშნა კაპიტალისტურ ქვეყნების ცდა, რომ მტრული ალყა შემოარტყან საბჭოთა კავშირს და თქვა: „ამკამათ მორიგ ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცება. ამ საქმეში უნდა ასრულებდეს არა მარტო არმია, არამედ ყველა სამოქალაქო, პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციებიც“.

„წითელი არმია უდიდეს ძალას წარმოადგენს მთელი ქვეყნის საერთო კულტურულ აღორძინებაში. ტერიტორიალური მილიციური სისტემის წყალობით წითელი არმია წარმოადგენს ნამდვილ კავშირის გამბეველს მუშათა და გლეხთა შორის. არმიაში მუშაობის არსებით ამოცანას წარმოადგენს მისი აყვანა დღევანდელ ტეხნიკურ სიმაღლეზე. ჩვენი მტრების სამზადისს ყოველთვის უნდა ვუპასუხოთ ჩვენივე უფრო გაათკეცებული სამზადისით“.

ამხ. კამენევის სიტყვა

მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კამენევმა,** რომელმაც განაცხადა:

„წითელ არმიის ახალ მეთაურების გამოშვება—ეს დღესასწაულია მთელი საბჭოთა კავშირისათვის. მომავალი წელი მართლა ეს პირველი წელი იქნება, როცა მუშათა და გლეხთა კავშირმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის უკვე შეუდგა ნამდვილ სოციალისტურ აღმშენებლობას. სოციალიზმისათვის ბრძოლა მოხდება სახალხო მეურნეობის აღორძინების ნიადაგზე. მხოლოდ მუშათა და გლეხთა კავშირის წყალობით, მხოლოდ საწარმოვო მუშების მიერ გლეხ მასსების ხელმძღვანელობის მეოხებით შეესძლებთ ჩვენ, მოვიპოვოთ გამარჯვება. თქვენ გევალებათ წითელ არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის მთელი ამოცანა და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება გლეხობისთან დაკავშირებით.

ჩვენი საერთო კეთილდღეობა დიდ ცდუნებას წარმოადგენ ყველა ჩვენი მტრებისთვის. ჩვენი არსებობის ყოველი დღე აახლოვებს ბურჟუაზიის დაღუპვის ჟამს. ჩვენი გაძლიერებისა და განთავისუფლებისთვის საჭიროა მშვიდობიანობა. სწორეთ ამიტომ ეტრფიან ისე ძლიერათ იმპიანობას ბურჟუაზიულ ქვეყნებში“.

ა.-კ. ფედერაციაში

საქართველო

განათლების მუშაკთა კონფერენციაზე.

ქუთაისი, 5 აგვისტო. 24 ივლისს დაიხურა განათლების მუშაკთა პირველი სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 120 დელეგატი, ამათგან 60 დელეგატი მაზრიდან იყო.

ადგილებიდან მოხსენებების მიხმენის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებს მასწავლებლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმებულ მუშაობისაკენ.

აბარისტანში

აბრეკნომიული დასმარება.

ბათომი, 5 აგვისტო. სახალხო კომისარიატა საბჭოს მიერ აბარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის გადადებულია 20.000 მანეთი ბეგრონომიული დახმარების გასაძიერებლად.

ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობებთან.

ბათომი, 5 აგვისტო. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის გადადებულია 8.400 მანეთი ვენერიულ ავადმყოფობებთან ბრძოლის მიზნით.

აფხაზეთში

სახ. თაჯ. ფაბრიკა

სოხუმი, 5 აგვისტო. პირველ ივლისამდე სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკამ გამოუშვა 13.995.750 ცალი პაპიროსი და 610 ფუთი თამბაქო, სულ 187,574 მანეთის.

მატარებლების დამსხვრევა სად. ჯუმათში

დაწვრილებითი ცნობები

ბათომი, 6 აგვისტო. სად. ჯუმათში მატარებლების დამსხვრევის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ასეთია: 4 აგვისტოს ღამით ბათომიდან გავიდა საბარგო მატარებელი 88 ცალიერი ცისტერნით, როდესაც მატარებელი მიუახლოვდა სად. ჯუმათს და ის იყო უახლოვდებოდა სადგურს, 11 დროს მოპირდაპირე მატარებელი მთელი შემადგენლობით მთელი თავისი სისწრაფით დაეჯახა შემოსულ მატარებელს. დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ 17 ცალიერი ცისტერნა და 4 სავსე ქვაბი გადავარდა ლინდაგიდან. სად. ჯუმათის ყველა ლინდაგები ლანგრეულია 100 საჟენის მანძილზე. ძალიან ლაზიანდა მეორე მატარებლის ტენდერი, რომელშიაც შეიერა ლანდის ცისტერნა. მგზავრებიდან მოკლულია 3, მათი გვამები წარმოადგენენ უფორმო მასას. მძიმეთ დაიჭრა სად. გენჯის მემანქანე, რომელიც მგზავრის სახით მიდიოდა და საბარგო მატარებლის ცეცხლის გაშლეიბელი, ორივე გადაყვანილი იქნენ სადგურ სამტრედიაში და ფეხების მოკრის შემდეგ გარდაიცვალენ. მსუბუქად დაჭრილი არიან მატარებლის მემანქანე და კონდუქტორი. მსუბუქად დაზიანდენ რამდენიმე კაცი.

ბეორე დღეა სწარმოებს მუშაობა სადგ. ჯუმათში გზის აღსადგენად და დამსხვრეულ ცისტერნების ასაღებად.

...ბარ ...ბ ...ბ ...ბ

...ბ ...ბ ...ბ ...ბ ...ბ ...ბ

...ბ ...ბ ...ბ ...ბ ...ბ

ქრონიკა

— **მავნებლებთან საბრძოლველად** მიწათმოქმედების სახკომისარიატის **სასოფლო-სამეურნეო** განყოფილებამ უცხოეთიდან მიიღო მავნებლების საწინააღმდეგო 45 კასრი გოგირდ-ნახშირ-მჟავა.

— **ტყის მუშაკთა პირობების** გამოსაკვლევად თბილისიდან მაზრებში იგზავნება საუწყებათაშორისო კომისია შრომის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით.

— **როგორ უნდა იკვებებოდნ ბავშვები.** სოც. დაზღვევის სამართველომ გამოუშვა წიგნაკი დაზღვეულთათვის, თუ როგორ უნდა იკვებებოდენ ბავშვები.

— **მეაბრეშუმეობა.** მიწათმოქმედების კომისარიატს საზოგადოება „აბრეშუმ"-თან ერთად განზრახული აქვს შეიძინოს ჭიის მეთესლეობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები 10.000 მანეთის ოდენობით.

— **პარკის შესყიდვა.** საზოგადოება „აბრეშუმ"-მა წლევანდელ მოსავლიდან საქართველოში შეიძინა 104 ათასი ფუთი პარკი.

— **ტყის მოწყობა.** სატყეო განყოფილებამ დაამთავრა ანმეტას რაიონში (თელავის მაზრა) ტყის მოწყობა. სულ მოწყობილია 50 ათასი დესეტ. ტყე.

— **ღვინის დამზადება.** სახალხო მამულების ტრესტს განზრახული აქვს მიმდინარე წლის მოსავლიდან გლეხობისაგან შეიძინოს და დაამზადოს 100 ათასი ფუთი დვინო.

— **უმაღ. სამ. საბჭოს თამბაქოს ქარხნებში** ივნისის განმავლობაში ნამუშევარია 14.475 დღე. სულ თამბაქოს ქარხნებში მუშაობს 687 მუშა.

— **მანქანების შეკეთება.** ავჭალის წყალსადენის მანქანების და ქვაბების შესაკეთებლად მიმდინარე წელს თბ. აღმასკომმა გადასდო 19,500 მან.

— **ტრამვაის ახალი ლინანდაგი.** ტრამვაის დირექცია შეუდგა კირკის ქუჩაზე და პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაის ახალი ლინანდაგის დაგებას.

— **რენტგენის სხივების კაბინეტი,** რომელიც ჯანსახკომმა მიიღო საზღვარგარეთიდან რამდენიმე ხნის წინედ, ჯერ კიდევ მოუწყობელია შესაფერი ბინის უქონლობის გამო.

— **სვანეთში.** ჯანსახკომის მიერ გაგზავნილი სამეცნიერო-სამედიცინო ექსპედიციის მუშაობა ამჟამად წარმატებით სწარმოებს.

— **მასსამმელი რონდები.** ტრამვაის სახელოსნოში ამჟამად ამზადებენ გამოსაშვებად 10 ახალ მისამელ რონდოს.

— **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.** ამჟამად მუშათა და გლეხთა ინსპექცია აწარმოებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამოკვლევას.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი** კურსების შესანახად დუშეთსა და თანგლოსში თბ. განათლების განყოფილებამ დაადგინა დამატებით გადასდოს 4 ათასი მანეთი.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** თბ. აღმასკომმა პოლიტგანს დაავალა მიიღოს გადაწყვეტილება ზომები მაზრაში წ.-კ. უცოდინარობასთან საბრძოლველად. და ამ მიზნით გამოიყენოს მაზრაში მყოფი კულტურული ძალები.

— **საექიმო დახმარება სულით ავადმყოფებს.** ჯანსახკომმა აღძრა შეკამდგომლობა საქ. ‡ეკაკის და კომისართა საბჭოს წინაშე სულით ავადმყოფთათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების შესახებ.

— **უმუშევრები.** ამჟამად შრომის ბირჟაზე ირიცხება 10,000 უმუშევარი.

— **ხატელეგრაფო ხაზის შეკეთება.** ა.-კავკასიაში ივლისში შეკეთებული იქნა ტელეგრაფის ხაზი 4464 კილომეტრის სიგრძეზე.

— **სახალხო კავშირის მუშაკთა რიცხვი** ამჟამად ა.-კავკასიაში აღწევს 3,567 კაცს.

— **საფოსტო-სააგენტო.** ამჟამად ა.-კავკასიაში არსებობს 168 საფოსტო-სააგენტო. ახლო ხანში განზრახულია გაიხსნას კიდევ 152 სააგენტო.

— **უზუშევართა დაზღვევა.** ივლისში უმუშევართა დაზღვევე განყოფილებამ აღრიცხვაზე აიყვანა და დაზღვევა 342 უმუშევარი.

შემთხვევები

— **მორგებულ გასაღებით** 5 ივლისს, არშაკუნის ჩიხი № 18, **გაქურდეს** შალვა ნადარეიშვილის ბინა.

— **კრეების შეტეხის** საშვალებით 5 აგვისტოს ალეკსანდ. ქ. № 33 გაქურდეს მანუელ‡ბადაგიანეცის ბინა. ქურდი ბავშვები ანდრანიკ არუთინოვი, მიმაო ბაღდასარიანი და მიხეილ ერმოლოვი შეპყრეს.

— **ამავე დღეს** ანტონოვის ქ. № 16 გაქურდეს სუსანა ტოგონიძის ბინა.

— **ახალ ბაზარზე** სიმონ ტარაგოვეს ჯიბიდან ამოაცალეს საფული.

მუშათა ცხოვრება

ძვნად გერმანელ მუშათა დელეგატებს

ვაშა, ვაშა ჩვენს სტუმრებსა,
სალამს გიძღვნით ძმებსა ძმურად,
პურ-მარილითო, მხიარულად
დაგიხვდებით ქართველურად.

საქართველოს მუშა-გლეხნი
გადაგიხსნით გულის კარებს;
ამცნეთ ჩვენი თანაგრძნობა
გერმანიის პროლეტარებს.

ჩვენ დავლეწეთ ბორკილები,
დავიმონეთ მტარვალები,
სულ მიწასთან გავასწორეთ
მუქთახორა ბურჟუები.

თქვენც ასწეთ შეების დროშა,
ბრძოლით გაიტანეთ ლელო,
პროლეტარულ თანაგრძნობით
თქვენც გახსოვდეთ საქარდველო!

თქვენც ჩვენებრივ დაგეძლიოთ
გმირულ ბრძოლით თქვენი მტერი
გამარჯვების ემბლემადა
გაგეხადოთ ნამგალ-კვერი.

მუშა **გ. შინატეხელი.**

მოდით, მოგროვდით მუშებო

(გერმანელ მუშათა დელეგატების მოსვლის გამო)

მოდით, ბიჭებო, მოგროვდითო,
მოდიან დელეგატები;
უნდა გაიგონ აქ ჩვენი
ქვეყნის ნამდვილი ამბები.

ისე დავუხვდეთ ჩვენ იმათ,
როგორც შეგვფერის მუშებსა;
გავაგებინეთ მართალი
შორიდან მოსულ სტუმრებსა.

დეე, წაიღონ ამბავი
თავიანთ ქვეყანაშია,
ხმა სიმართლისა მოჰფინონ
გერმანელ მუშა-ხალხშია.

რომ ამით ბოლო მოეღოს
იქ გავრცელებულ ჭორებსა,
„კუკუ" ამოკრონ, ვინც ჩვენზე
ცუდ რამეს მოაჭორებსა!

დეე, დარწმუნდეს ევროპა,
რომ იგი დღემდე სცდებოდა
და ჭორიკანა ხალხისგან
სიცრუის მსხვერპლი ხდებოდა!

მუშა **ნიკო ასლამაზაშვილი.**

იაგორაშვილებიც საბრალდებლო სკამზე

(პროკურატურის და „დტ. ჩ-კ"-ის საყურადღებოთ)

გაზ. „კომუნისტის" 18 ივლისის № 163 ამბ. „ძველის" მიერ იყო მოთავსებული წერილი ბ-ნ **კუჩერენკოს** შესახებ. როგორც ეს ხშირად ხდება, ბ-ნ კუჩერენკოსაც გაუჩნდა მოსარჩლე **მ. იაგორაშვილის სახით.** უკანასკნელს მოუნდომებია ბ-ნ კუჩერენკოსადმი წყენებულ ბრალდების ვითომდა მოხსნა მით, რომ დაატარებს ქაღალდს ცხენებში და აწერიებს ხელს ზოგიერთებს—კუჩერენკოს ტოლებს, რომ კუჩერენკო ვითომდა **სანდო პიროვნებაა** და სხ.. ქაღალდით ხელში ის დადის ასეთებთან და ეუბნება: „თქვენთვის კუჩერენკოს საწყენი ხომ არ მიუყენებია"... „აბა მომიწერეთ ხელი"-ო.

იაგორაშვილისათვის ეს არ დაუვალებია არც იაჩეიკას, არც ადგილკომს და არც მის საყურადღებოთ იყო გაზეთში წერილი მოთავსებული. ბ-ნი იაგორაშვილი კი ამბანაგების შეცდომაში შეყვანით გამოდის „ველიკოდერჟავნეკ"-ების დამცველის როლში, ამიტომ ისიც უნდა დავსვათ საბრალდებლო სკამზე.

რკინისგზელი **გაიკა.**

ძირს მედიდურება

(რკ. გზის სამმართველოს და უბნ-კავშირის საყურადღებოდ)

ქალ. თბ. დეპოში მანტიორად ირიცხება ვინმე **ემ. რადჩენკო,** რომელიც ძალიან მედიდურად ექცევა მუშებს. ის ძველ ჟანდარმს მოგაგონებთ თავისი უხეშობით. იშვიათია იმასთან მივიდეს რომელიმე მუშა რაიმე საქმეზე და დარჩეს ცმაყოფილი. ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ მასთან მიდიან მუშები რაიმე საქმეზე და ის კი ლანძღვა-გინებით აბრუნებს უკან. ჩვენ, მუშები ყველა პატიოსანი ოჯახის შვილნი ვართ, და ამ თავგასულ ვაებატონს ამდენ გინებას ვერ შევარჩენთ.

მიიღეთ ზომები, ჩვენ გიცდით.

მუშკორი **კ.—ვი.**

მადლობის ღირსია ასეთი დაუღალავი მუშა

მთავარ სახელოსნოს თითბერის ჩამომსხმელ სამქროში მუშაობს **იოსებ კალაძე,** რომელიც აკეთებს თითბერის ჩამოსასხმელ ფორმებს. სამქროს საკეთილდღეოთ, ის ასრულებს თავისი დაუღალავი ენერგიული გულწრფელი მუშაობით სხვა საქმეებსაც. ის ამ საამქროში 25 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ მუშაობს. ამს. იოსები თავის ამხანაგებთან (მუშებთან) მეტად თავაზიანია და საქმის საუკეთესოდ მოყვარული. ასეთი მუშები ჩვენ გვიყვარს და გვსურს, რომ ასეთი მუშები წითელ დაფაზე იქნენ აღნიშნული.

მუშკორი **კიბულა.**

ჩარჩები არ იშლიან თავიანთ გაუმაძღარ საქციელს

(მთაწარ მილიციის საყურადღებოდ)

დეზერტირების ბაზარში, სადაც სოფლელებს გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდათ და სადაც რკინისგზელი მუშებიც გამოდიან ორიოდე მანეთებით, რათა შეიძინონ ოჯახის საჭიროებისათვის სურსათ-სანოვაგე და სხვა, დათარეშობენ კერძო ვაჭარ-სპეკულიანტები და როდესაც გლეხს ევაჭრები, რომ ფასში მოურიგდე (მაგრამ ვინ დაგაცლის), გამოვარდებიან ბუტკიდან ნაძარცალა ჩარჩები და იმავე წუთში გამოგაცლიან საქონელს ხელიდან და შენ კი რჩები პირში ჩალაგამოვლებული.

25 ივლისს ერთ მოქალაქეს გამოეტანა ოჯახიდან წყლის ბოჭკა. ერთი რკინისგზელი გაურიგდა მას. გაისვა ჯიბეში ხელი ფულის ამოსაღებად. მაგრამ სადღაა ის ბოჭკა, გარიგებაზედ 50 კ. მომატებით იქნა, **ბუტკიდან № 9376 გამოვარდა ჩარჩი** ვაჭარი და მყისვე გამოაცალა მუშას ხელიდან ეს ბოჭკა.

ჩვენმა მილიციამ უნდა ადეკვნოს მას თვალყური და არ მისცეს ჩარჩებს საშუალება ასეთი ოინებით დასჩაგრონ მუშა და გლეხი.

მუშკორი **დანტკურელი.**

ძილში მამაცი, საქმეში ზარმაცი

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

თერჯოლის თემში (შორაპნის მაზრა) იმყოფება ექიმი **არუთინოვი წყარო და მშვიდი** ადამიანი. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ძილში უფრო მარჯვეი ის, ვიდრე ავადმყოფების დახმარებაში. დილით 7—8 საათზე მიდიან ავადმყოფები—ზოგი ურმით, ზოგიც ფეხით, ექიმს კი სძინავს ათ ‡ათამდე. გარეთ კი არის კენესა-გოდება ავადმყოფებისა; 7—8 საათზე მოსულნი უცდიან ექიმს 11—12 საათამდე.

მიაქციეთ ყურადღება თერჯოლის თემის ექიმს.

ცოცხალა.

მუშების და გლეხების დაახლოვებაც ასეთი უნდა

როგორც ვიცით რამოდენიმე თვის წინედ უეცარ ცეცხლის გაჩენის გამო დაიწვა მათხოჯის შესანიშნავი სახ. სახლი.

დღეს, როდესაც დაობლებული გლეხები მისჩერებიან გარუჯულ კედლებს და სცდილობენ შენობის კვლაკ აღდგენას, ყოველივე კაპეიკი, ამ დიადი საქმისათვის გამოწოდებული, მალამოდ დაედება ჩვენი გლეხობის აღტკინებულ გულს. ამ რამოდენიმე დღის წინედ ქ. ბათომის სანაპირო მტვირთავ მუშების მიერ ამხ. **სანდრო ფარცხალავას ხელმძღვანელობით** შეგროვებული იქნა თავიანთ წრეში და გადმოუგზავნა მათხოჯის სახალხო სახლის საალმშენებლო საბჭოს—**სამას სამი მანეთი** (303 მან.)

აქ აშკარად სჩანს, რომ ამ დარგის მუშებს სავსებით შეუგვნიათ მუშებისა და გლეხების დაახლოების საქმე და კიდევაც უბედურებაში ჩავლენილ ჩვენს გლეხობას პირველად გამოუწოდეს თავისი მუშური ხელი.

ვაშა ასეთ მუშებს!

ჩვენი ულრმესი მადლობა მათ.

გლეხკორი **შ. დურგლიშვილი.**

ხელოვნება

მეხუთე სიმფონიური კრება

კონცერტის პროგრამის კარდინალურ ნომერს წარმოადგენდა ანტონ დვორჟაკის სიმფონია „ახალ ქვეყანაში".

ანტონ დვორჟაკი ხალხიდან გამოსული ჩეხელი კომპოზიტორია. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, ამ კომპოზიტორმა დიდი შრომით და ნიჭით გაითქვა სახელი არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ ამერიკაშიაც, სადაც ის მიიწვიეს ნიუიორკის კონსერვატორიის დირექტორად. თავის სამშობლოს მიუძღვნა მან თავისი სიმფონია, რომელსაც საფუძვლად დაუდო ამერიკელ ზანნგების ეროვნული სიმღერების მელოდიური შინაარსი. ამ სიმღერების ღარიბი და ნაკლებად შინაარსიანი მელოდია ვერ მისცემდა ავტორს ლამაზ და წარმტაც სიმფონიას და მიუხედავად დიდი ხელოვნებისა, რომლითაც დაწერილია იგი, მას მაინც არ ახასიათებს მრავალფეროვნება და არაჩვეულებრივი სილამაზე, „გარდა მეორე ნაწილისა, რომელიც დაწერილია განცდით. სტოლერმანმა ეს მეორე ნაწილი შესარულა დიდის ხელოვნებით.

სოციალისტი ლევ ბენდიციკი (რომელმაც დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და შემდეგ რამდენიმე ხანი დაჰყო მოსკოვში), გაცილებთ უკეთესი იყო, ვიდრე პირველი ა მოსვლის დროს. კონცერტი—სიმ ნია ლოლო შესრულებული იყო მოფიქრებულად და ტემპერამენტით.

ტენორკარად ყველაფერი კარგად იყო შესრულებული, გარდა რამდენიმე ადგილებისა კონცერტის უკანასკნელ ნაწილში. დვორჟაკის საუცხოო „სლოვიანური ცეკვა" საკმაოდ ლამაზად ვერ შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა.

კონცერტი დამთავრდა საკონცერტო მარშით სენ-სანსის ალეირის სიუიტიდან.

სტოლერმანმა მრავალი ფერები შეიტანა კონცერტში.

პ. ბ.

სამაგალითო კონცერტი

ნ აგვისტოს მბეჭდავთა კლუბში კ. ფოცხერაშვილის მეთაურობით გაიმართა სახ. ალად. გუნდის „სამაგალითო კონცერტი". გუნდთან ერთად კონცერტში მონაწილეობას იღებდა სიმღერითი ორკესტრიც.

ჩვენი კინომრეწველობა

ჩვენი სურათები სპარსეთში. სპარსეთში დიდის ინტერესით უცქერიდენ „ყაჩაღ-არსენას" სურათს. ამჟამად სპარსეთიდან ჩამოვიდა ერთი ჯგუფი, რომელსაც სურს შეიძინოს ჩვენი კინომრეწველობის მიერ გამოშვებული ყველა სურათები. ხელშეკრულობა თითქმის დადებულია. პირველ რიგში გაიგზავნება „მამის მკვლელი" და „სამი სიცოცხლე".

კინო-ქრონიკა. სახ. კინომრეწველობა შეუდგა რეგულიარულად კინო ქრონიკის გამოშვებას. უკვე გამოვიდა პირველი ნომერი და უჩვენებენ „არფასტოში" და „ეთერში".

კინო-ქრონიკის შემდეგ ნომერში შეავ გერმანიის დელეგაციის მოსვლა.

კინო-სცენარის კონკურსი. კინომრეწველობა ახლო მომავალში გამოაცხადებს კონკურსს საუკეთესო კინო-სცენარიზე. საამისოთ გადადებულია 5,600 მან. (პირველი პრემია—1.500 მ., მეორე—1.000 მან., ორი—750 მ., ორი—500 მან. და ორიც—300.) კონკურსზე მიღებულ იქნება ტეხნიკურად დამუშავებულ სცენარის გარდა სასცენარო ფაბულებიც.

კინო-რეჟისორის მოწვევა გერმანიიდან. კინო-მრეწველობას გადაწყვეტილი აქვს გერმანიიდან მოიწვიოს ერთი რეჟისორი.

„ხაჯი-მურატი". ხაჯი-მურატის დადგმის საბჭადისს უკვე შეუდგა რეჟისორი პერესტიანი.

პირველი განყოფილება შესდგებოდა რეგოლიუციურ და ბრძოლის სიმღერებიდან: „ა ფუშვსრა „ინტერნაციონალს". ერთობა სუსტია და მონოტონური „კომუნისტების მარში". „საპარეკლესიისო ჰიმნშიც" ა‡ის სიხარეული და მოდიდენი გაზაფხულისა, მაგრამ არა სჩანს ბრძოლის სული. ამ სიმღერაში კი უფრო ბრძოლის ჰიმნს ეძებს მსმენელი, ვიდრე გაზაფხულის მელოდიას. ისევ ყველასა სჯობდა ხალხური „ლაშქრული" და „ძლევის სიმღერა".

პირველ განყოფილების მსვლელობის დროს კონცერტს ესწრენ გერმანელი დელეგატები, რომელთაც გუნდი შეეგება იმტერნაციონალის გუგუნით და აფარებელი ხალხი კი—ხანგრძლივი ტაშის გრიალით.

დელეგატების პატივსაცემათ და სასიამოვნოთ კონცერტში ჩამატებულ იქნა საცეკვაო ნომრებიც, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჭაბუკიანის ქალმა, ალბერტმა და ბარზუდარიმა. სახაზარზე აყოლებით მათ საუცხოვოთ შეასრულეს რამდენიმე ქართული და აღმოსავლეთური ცეკვა.

მეორე განყოფილება შესდგებოდა ქართულ-კახურ ხალხურ სიმღერებიდან. ეს განყოფილება ყველაზე სუსტი იყო. **არ** ერთი სანიმუშო ქართულ-კახური სიმღერა არ იყო შესრულებული. საამისოდ გუნდს არც მომზადება აქვს და არც შესაფერი ძალების ერთფეროვანი სიმღერები კი, რომელიც გუნდმა შეასრულა, არ გამოდგება ქართულ-კახური ჰანგების დამახასიათებლად.

კონცერტი საყურადღებო გამოდგა უფრო მესამე განყოფილებაში, რომელიც შესდგებოდა იმერულ-გურული სიმღერებიდან.

საუკეთესოდ იყო შესრულებული „ალიფაშა". შემდეგ—„საბოდიშნო", „შვიდკაცა" და სხვა.

საერთოდ გუნდი ერთეროვან შთაბეჭდილებას ახდენს როგორც შესრულებით, ისე მოტივებითაც, გარდა რამდენიმე თვალსაჩინო სიმღერისა. ყველა სიმღერები სრულდებოდენ გუნდობრივად და არც ერთან არ ისმოდა სოლისტური ხმები და მოძახილი, რომლისთვისაც გუნდი მხოლოდ დამბმარე ძალაა განსაკუთრებით ქართულ-კახურ სიმღერებში.

კონცერტს ბალი დიდძალი დაესწრო და საერთოდ ნასიამოვნებიც დარჩა.

დამსწრე.

— **მეიერხოლდის სტუდიაში.** სახკომსაბჭომ განათლების კომისარიატს წინადადება მისცა გიორგი ბატალაშვილ მეიერხოლდის სტუდიის მოწაფეს დაუნიშნოს სტიპენდია.

— **მოსკოვში არსებულ ქართული** კულტურის სახლის შესახებ თანმნის **გამოსცა** და გადიდება კომისართა საბჭომ დაკისრა განათლების კომისარიატს

— **ირმა დუნკანის** (ისადორა დუნკანის ასული) გასტროლი თბილისში გაიმართება 9 აგვისტოს ოპერის თეატრში.

— **ახალი რომანსები.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა კომპოზიტორ ვასტანგ ჯაბადარის ახალი რომანსები.

ნაწილები პროვინციიდან

შავი ზღვის რკინისგზის გაყვანა

15 ივლისიდან რკ. გზ. სამხრეთ-**ნაწილის** სამმართველო ინჟენერ კაციტაძის მეთაურობით შეუდგა შავი ზღვის რკინის გზის გაყვანას.

სამმართველოს კანტორა მოთავსებულია ქ. ახალ-სენაკში. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უკვე 300-დე აკვიდა. მათთვის შექმნილია 9 კაცისაგან შემდგარი ადგილკომი. 10 აგვისტოს გაიკმეული იქნება მიწის სამუშაოები სად. ახალ-სენაკიდან ქ. ზუგდიდამდი. მიწის სამუშაოს დაწყების შემდეგ მუშათა რიცხვი განზრახულია აკიდეს 3—4 ათასამდი, რაც დიდათ ხელს შეუწყობს უმუშევართა შემცირების საქმეს.

რა მნიშვნელობა აძვს შავი ზღვის რკინის გზის გაყვანას?

შავი ზღვის რკინის გზის გაყვანას უადრესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ეს რკინის გზა გაიკვლევს ჯერ კიდევ ბუნებით მდიდარ, დაუმუშავებელ ტყის სამეფოში, როგორც სამურზაყანო და აფხაზეთია. გარდა ტყისა, ზუგდიდის მაზრაში, სამურზაყანოში და აბხაზეთში უამრავი სხვა სიმდიდრეა. თამბაქო ღვინო, დაფნა, ბზა—აი ის გამოულეველი მარაგი, რითაც მდიდარია. ეს ქვეყანა, მაგრამ უგზოობის გამო ყველაფერი ეს ჩალის ფასად საღდება და ან სულ გაუსაღებელი რჩება. თუ შეეხებით მადნეულობას—აქ საქმე გვაქვნა **ტყვარჩელის** მადნეულობასთან, რომელიც ჯერ დაუმუშავებელია და რომლის დამუშავება ეკონომიურად აღიარონიენებს ჩვენს რესპუბლიკას. ამავე დროს ეს გზა შეუქმნის ტკაცეე პოლიტიკურ კავშირს აფხაზეთსა და საქართველოს შორის და ორივე უფრო მოკლე გზით დაუკავშირდება მთელს საბჭოთა კავშირს.

ამავე დროს ამ ჩამორჩენილ კუთხეებს: სამურზაყანოს, აფხაზეთს და ზუგდიდის მაზრას—ეს გზა ფრიად წასწევს წინ.

როდის დამთავრდება მუშაობა?

მიმდინარე წლის 7 ნოემბერს მიმოსვლა გაიხსნება ქ. ახალ-სენაკსა და სად. ხეთას შორის—22 ვერსის მანძილზე. მომავალი წლის 7 ნოემბერს მოძრაობა უნდა გაიხსნას ქ. ზუგდიდამდი, ხოლო 1927 წლის 7 ნოემბრამდი ქ. ქ. სოხუმამდი. შემდეგ კი ნოვოროსიისის რკ. გზის ხაზთან შესაერთებლად გაგრძელდება სათანადო მუშაობა.

რა გაკეთდა მუშაობის დაწყებიდან?

შეძენილ იქნა 200.000 მანეთის მასალები: შპალები, ხე-ტყე, საქაჩი მანქანები, ლაფათქები, წერაქვები და სხვა. ქ. სენიკიდან ხობამდი გამოცვლილია ხიდეები. მდ. ცივზე გაკეთებულია 30 საჟენიანი ახალი ხიდი. ხოლო მდ. ხობის წყალზე შეუდგენ ხიდის გაკეთებას.

მუშა-ხელი

მუშა-ხელი ადგილობრივაც ბლომად **არის.** აქ არიან როგორც ღლიური, ისე მუშაკი მომუშავენი. აღმშენებელთა სამაზრო პროფკავშირი დიდ აქტიობას იჩენს მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის და მათი ინტერესების დაცვის საქმეში.

ზუგდიდ-ჯვარი, რკ.-გზა.

ქ. ზუგდიდი მთავარ ხაზიდან დაშორებულია 4 ვერსით. ამ მანძილზე გაყავთ შტო. განზრახულია ამ შტოს გაგრძელება ს. ჯვარამდი. ს. ჯვარამდი რკ. გზის გაყვანა კი მოსაწყვავებს სამეგრელოს ეკონომიურად აყვავება-განვითარებას.

ბ. უჩანეიშვილი.

მიულწეველი ნატვრა

(რკ. გზის სამმართველოს საღურადღებოთ)

სადგ. საჯეკვახოსა და სადგ. ნიგოითს შუა მდებარეობს „ნარიონების" ტბა. ამ ტბის ამოშრობაზე დიდი ხნიდან ოცნებობდენ მის გარშემო მდებარე სოფლის გლეხები. მაგრამ გადიოდა წლეები და ოცნებათ რჩებოდა.

ამასობაში „ნარიონების" წყალობით სრულიად გადაშენდა 3 სოფლის ტბის პირას მცხოვრები მოსახლეობა.

ახლო-მახლო მდებარე სოფლებიც ნელის ნაბიჯით ამაკე გზით მიდიან. ტბისგან გავრცელებული ციებ-ცხელება სწვდება 10—12 ვერსის მანძილზე. ამის გამო სოფლებ: ვანის უბანს, გულედარს, კოდორს, ბაკანას, ჯოონაგორას, ნიგოითს, ტოლებს, ნოღას, ჯოკნარს და სხვ., ეკალის, ახალსოფელის და ტობათის ბედი მოელის, რომლებიც 20—30 წლის წინათ მდებარეობდენ „ნარიონების" პირათ და დღეს მათი მხოლოთ სახელიღა დარჩა.

როცა 1920 წელს დაიწყო გეგმის შედგენა ტბის დასაშრობათ, გლეხების სიხარული საზღვარი აღარ ჰქონდა; მაგრამ ეს სიხარული მალე გაუქარწყლდათ. შედგენილი გეგმები გეგმებათვე დარჩა.

1922 წელს ისევ განახლდა ინჟინერ-ტეხნიკოსების მიერ გეგმის შედგენა. ამ გეგმებმაც ისევე ჩაიარა, როგორც პირველმა.

1923 წელს გლეხები არაჩვეულებრივი სიხარულით შეხვდნენ, რომ ამდენი ხნის ოცნებას და მზადებას ეხლა მაინც ხორცი შეესხმებაო. გამოიწვიეს მუშები არხის გასაჭრელათ ვლეხები დიდი ხალისით ეტანებოდნენ საქმეს, სულ 10—12 ‡ღლის განმავლობაში 3 ვერსზე მეტი არხი გასჭრეს.

მაშინ, რაღაც მიზეზით მუშაობა შესწყდა და მას შემდეგ შეჰყურებენ გლეხები დაწყებულ საქმეს, შესჩივიან ყველას, მაგრამ პასუხს ამ კითხვაზე არავინ იძლევა.

არხი გაიკლის რკინის გზის ხაზს, სადაც საჭიროა აიგოს ხიდი.

ხალხში ხმები დადის, თითქოს რკინის გზის სამმართველო არ აძლევს მოაკრობას ნებას, რომ დანიშნულ ადგილას არხი გაიყვანოს. რამდენათ მართალია ეს, არ ვიცით, მხოლოთ სინამდვილე კი ასეთია, რომ მთელი რაიონისათვის უაღრესი მნიშვნელობის საქმე უძრავად არის და ცენტრიდან ყურადღების მიმქცევი ჯერ არსად მოსჩანს.

ამ დროს, როცა საქართველოს თითქმის ყოველ კუნჭულში სოფლის წარმატებისათვის კეთდება ბევრათ დიდი საქმეები, როგორიც არის: არხების გაყვანა, შოსეების გაკეთება, ბაობების ამოშრობა, ფაბრიკა-ქარხნების გახსნა და სხვა, გამოჩენებულის თემი ამ შედარებით ცოტა და უდიდესი მნიშვნელობის დახმარებასაც კი მოკლებული არის.

სანამდი უნდა დარჩეს „ნარიონალის" ამოშრობა ჩვენი გლეხობის საშვილიშვილო და მიუდწეველ ნატვრათ??

ა. შანიძე.

შეიბრალეთ ტყეები

სადაცაა სოფელი მორჩება ყანებში და ვენახებში მუშაობას. მოსავალის აკრეფამდი გლეხობა რამდენიმე კვირეები და თვეებიც რჩებათ.

ამ შედარებით თავისუფალ დროს სოფელი იყენებს შეშისა და საალმშენებლო ხე-ტყის მოსამარაგებლად. ზაფხულის მიწურული და შემოდგომის დამდეგი ტყეები მუშაობის დროა.

ამ ხნის განმავლობაში უხდებათ ყველაზე უფრო ტყეებს სოფლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ ხშირათ ეს მოთხოვნილება იწდენათ დიდი და შეუფერებელია ადგილობრივ შესაძლებლობასთან შედარებით, რომ მას დიდი ზიანი მოაქვს საქმისათვის.

ამ ბოლო ხანს ძალიან გახშირდა კორესპონდენციები ტყეების ულმობელათ გაჩეხვა-განადგურების შესახებ. კერძო საკუთრების, ან საზოგადო სარგებლობის ტყეებზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, არც სახელმწიფო ტყეებს ადგებათ ხშირათ კარგი დღე.

სპრიან ტყეს ყოველივე ანგარიშს, მიზანშეწონილობის გარეშე. ანადგურებენ მცენარეულობას შეუბრალებლად. არის შემთხვევები, როცა შიშს სიგიჟროვის გამო, ცეცხლს ალში ხვევენ ტყეებს მთელ რაიონებს.

იღვაძგინოთ მალთაყვის ხიდი. სუფსა ფოთ შუა მიიმართება მშკენიერი გზატაცეცი. აქ მდ. კაპარჭინაზე იყო ხიდი, რომელიც 1923 წ. წყალმა წაიღო. ეს ხიდი ერთად-ერთი საშუალებაა გურია-სამეგრელოს შორის თავისუფალ მიმოსვლისათვის. გლეხებს ეხლა ბორნით უხდებათ წყალზე გადასვლა, რაც ძვირი ღირს და თან ყოველთვის მოსახერხებელიც არაა, რადგან დიდ ქარში ბორანი გაჩერებულია, უნდა აღდგეს კაპარჭინაზე მალთაყვის ხიდი.

—

სუფსამ წაიღო ნათესები. 25 ივლისს ისე ადიდდა მდ. სუფსა, რომ მან მთლად წალეკა საკეთის ნათესები, გაიტაცა შინაური ცხოველები და დასტოვა რაყის ქვები. ზარალი დიდია. გლეხობა საჭიროებს დახმარებას.

ჯ. თ.

—

კიდევ ერთი კლუბი. ქ. ახალციხეში გაიხსნა ამხ. იაშა ვარძიელის სახელობის კლუბი, რასაც ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა. ადგილობრივმა დასმა „წითელმა სხივმა" გახსნის დღეს ჩაატარა ახალ სცენაზე პირველი წარმოდგენა.

ნ. ტინტოკოვი.

—

როდის დასრულდება კლუბის აშენება? წითელ ქალაქის აღმასკომმა დაიწყო კლუბის შენობა. საქმე სანახევროთ დამთავრებულია, რამდენიმე თვეა მუშაობა შესწყდა და აუარებელი მასალა ფუჭდება, ოოცა აშენებულიც ზიანდება ზვიმა-ავდრებით, როდის დავასრულებთ კლუბის აშენებას?

იანელი.

სოფლის ქრონიკა

— **ველისციხეში** ვენახებს კარგი პირი ეჭირა, რაც აიხსნება ვენახების თავის დროზე წამლობით.

— **სოხუმში** ამ ჟამად არსებობს 10 მუშათა სახმოანა ამხანაგობა, 300 წევრით.

— **სოფ. ხაგარეჯოში** ახლო ხანში გაიმართება ადგილობრივ დრამატიულ დასის რეჟისორ-მსახიობის ივ. კობახიძის ბენეფისი.

— **სოფ. დაბლა-საქარის** (შორაპნის მაზრა) სასოფლო სკოლა ვერ არის სათანადოთ მოწყობილი. საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფილი იქნას როგორც შენობის შეკეთების მხრივ, ისე სასწავლო ნივთებით.

სოფლის ფოსტა

ტ. ბ—ლს (ფოთი). წერილი არ გამოგვიდგა, არ მიდის.

ნ. დაფნარელს (ს. ხეთა). ლეგსი სუსტია, სწერეთ პროზით.

ბუნებრივი და სპეციალური ... 1334

ბ ა ნ ტ ე ნ ი

— საქართვ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ... დებას აძლევდა ქვემოხსენებულ ... ლაბის 5 საათზე რაიკომის ბინაზე:

უკრედი № 1—1. აკაკი იაკობიძე, 2. ... 4. ხუტუტალიშვილი ჯაკვირა, 5. ილია საყვარელიშვილი, ... კოლოგიკი, 8. მეფიქსატე